20. Чеботарев А. 2018. Цифровые технологии настоящего и будущего. – АВИА панорама. 2018, №4 (130). – Электронный ресурс: PDF из интернета. Поиск по запросу «виды цифровых технологий».
21. Чернышов Е. А., Романов А. Д. Современные технологии производства изделий из композиционных материалов. – Ж.: Современные наукоемкие технологии. 2014, №2. – Электронный ресурс: <https://www.top-technologies.ru/ru/article/view?id=33649>
22. Что такое «зеленая» экономика? 2017. – Электронный ресурс: <https://belarus-economy.by/ru/science-ru/view/chto-takoe-zelenaja-ekonomika-460/>

Vakhtang Burduli

*Doctor of economic sciences, head of Department
of Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Burduli

CLASSIFICATION OF TYPES OF INNOVATIONS AND SECTORAL PROBLEMS OF THEIR DISSEMINATION

Expanded Summary

In order to investigate the sectoral problems of the diffusion of innovations, it is first of all necessary to study modern views on the classification of types of innovations and the systematization of methods for their development and dissemination, which I have done in the first section of the work. In the second section of the work, the sectoral (sectoral and subsector) problems of the diffusion of innovations are systematically examined, and they are systematized in the context of innovations that are disseminated only within certain specific sectors (sectors, and in industry and subsectors) of the economy, and innovations that are disseminated in all sectors under the auspices of green economy (about 40% of all innovations spread in the world), information and communication technologies (or, in a broader sense, digital economy) - about 40% of all innovations spread in the world, production technologies and the use of composite materials and products made from them.

Based on modern concepts, the first section compiled a classification of innovations in the context of a number of criteria for their identification, as well as systematized and characterized the ways of developing and disseminating innovations.

The types of innovations are given and highlighted in the context of the following criteria: by importance (basic, improving and pseudo-innovations); by the degree of novelty for the market or enterprise; by the developer (external sources or by the enterprise); by scope or type of innovation (material and technical or technological; social, including organizational, economic, legal and pedagogical; environmental; in the field of green economy; information and communication or digital; in the field of circular economy, etc.); by subject and scope (product and process); by the criterion of prevalence (single and diffuse, that is, distributed in many industries); in place in the enterprise system (innovation at the entrance to the enterprise, innovation in the system structure of the enterprise, innovation at the exit of the enterprise), etc.

Further, the ways of developing innovations are systematized. According to the development criterion, an innovation can be developed by an enterprise or an external source, but most often, especially basic and improving innovations, are developed by external specialized entities, which are systematized and described in the corresponding paragraph (Methods for developing innovations) of the first section.

Methods of diffusion of innovations are systematized and characterized in detail. Even in the case of internal (within an enterprise or organization) development of innovations (basic, improving, modification), the conditions for their dissemination often require the purchase of patent licenses, technological documentation, etc.). However, which is quite natural, in the majority of medium and small enterprises and organizations (with the exception of specialized innovative enterprises), innovations are disseminated by purchasing basic (including in the form of "turnkey contracts") and in different types (equipment, documentation, licenses, advisory services, etc.) improving and modifying innovations, often with the involvement of specialists to facilitate their implementation.

Naturally, the main way of promoting innovations in production (dissemination of innovations in production) is borrowing (most often imports) of both basic and improving innova-

tions, product and process innovations at each stage of their promotion (special research, direct development, implementation).

At the end of the first section, the main modern mechanisms existing in developed countries for the promotion (diffusion) of innovations in production are given and characterized.

Generalization and systematization of the classification features of innovations, methods of their development and distribution is of significant practical importance, since it has the potential ability to give a detailed idea of the characteristics of a particular progressive innovation, makes it possible to identify the features of innovations, successfully manage innovation, see the available reserves, select the most rational options for management decisions. In particular, it is necessary to provide adequate support from the state for the introduction of innovations at the country's enterprises.

The second section examines the current sectoral problems of the diffusion of innovations with a focus on the classification of types of innovations given in the first section.

As you know, economic sectors (sectors in terms of types of activity or in terms of types of products or services produced in them) develop on the basis of diffusion (spread) in them of innovations (basic, improving, pseudo-innovations). Moreover, not only physical technologies are being updated, but also social and institutional (managerial or business technologies, i.e. technologies of market and other industrial relations, as well as technologies of state coordination of structural and sectoral development).

Judging from the point of view of the number of innovations (basic, improving and pseudo-innovations) that are now spreading in many industries (by the prevalence criterion), innovations that are a key factor of the modern technological order are innovations that are distributed in different industries through IC technologies (now mainly digital technologies) - about 40% of the total number of innovations; disseminated in different sectors through the green economy - about 40% of the total amount of innovations (however, innovations through the green economy partially overlap with innovations taken into account through the circular economy and ecology); innovations spread in some industries in the line of composite materials and nanotechnology; circular economy and ecology innovations spread across all sectors; biotechnological innovations spread in the field of health care (microbiology, molecular and cell biology, biochemistry, embryology, genetic engineering, virology, etc.).

This section focuses on innovations spread through **digital (or information and communication) technologies**.

It is the speed and versatility that made information and communication technologies so popular in modern branches of science, production and everyday life. Computers, smartphones, television digital electronics, etc. are a unique phenomenon that has radically changed the lives of every inhabitant of the planet over the past decades. In the sphere of these already existing technologies, their modernization takes place through the implementation of mainly improving and pseudo-innovations.

The transition to the possibilities of using new forms of labor organization using automated systems for assigning tasks, enterprise management, taking into account the effective allocation of resources, electronic accounting and document management, as well as systems for monitoring production, the environment and support for making managerial and technological decisions, allows for a qualitative leap and more efficiently use the available economic potential. This transition is already taking place through the implementation of appropriate basic and enhancement innovations. At the same time, the volume of new innovative developments in this direction is growing all over the world.

Modern researchers and specialists identify ten main directions for the development of digital technologies (in these areas, both basic and improving innovations are implemented, some of them are product innovations, but mostly process innovations, however, in the service sector, many of them can be interpreted as product innovations): 1. Artificial Intelligence and

Machine Learning). 2. Blockchain and Cryptocurrencies. 3. Big Data. 4. Telemedicine. 5. Augmented and Virtual Reality (AR / VR). 6. Chat-bots and Virtual Assistants (Bots and Virtual Assistants). 7. Mobile and Cybersecurity. 8. Internet of Things (IoT). 9. Computer Vision. 10. Artificial Neural Networks [Чегораев А., 2018]. In most of these areas, relevant innovations can spread across all sectors of the economy.

Also, great attention is paid to innovations disseminated through **the green economy**.

All areas of green economy development require the introduction of innovations both in the form of introducing completely new technologies (basic innovations) and improving innovations, for example, in order to improve the energy efficiency of industrial equipment. In our opinion, the following key generalized directions of the “green” economy can be distinguished: 1. General ecosystem management (waste management, water and air pollution control, restoration and rational use of lands, restoration and planting of forests); 2. Introduction of renewable energy sources; 3. Reducing the energy intensity of GDP and increasing energy efficiency (construction of buildings and housing and communal services, industry, transport, agriculture); 4. Development of electric transport; 5. Organic farming in agriculture; 6. Development of ecological tourism.

The second section also examines innovations that are spread through **innovative materials and products from them**. The production of composite materials and products from them is an industry in itself, while innovative products from them are used in various industries and energy and in construction.

According to expert estimates, the main consumers of composite products in the world are transport engineering (about 28%), the construction industry (including pipes and containers for housing and communal services, about 24%), energy and electronics, including wind energy (about 23%), oil and gas industry (about 10%), sports, medicine, nonferrous metallurgy.

By the nature of the matrix components, composite materials are divided into three groups: polymer composite materials; composite materials with a metal matrix; ceramic-based composite materials. The paper lists and characterizes the types of these innovative materials, as well as lists the innovative technologies with which these materials and products are produced, and the industries in which important innovative products from composite materials are used.

ვახტანგ ბურდული

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახ. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის*

განყოფილების გამგე

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Burduli

ინოვაციების სახეების კლასიფიკაცია და მათი გავრცელების სექტორული პრობლემები

ვრცელი რეზიუმე

იმისათვის, რომ მოვახდინოთ საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემების გამოკვლევა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის და მათი დამუშავებისა და გავრცელების ხერხების სისტემატიზაციის შესახებ თანამედროვე შეხედულებების შესწავლა, რაც ჩემს მიერ გაკეთებულია ნაშრომის პირველ დანაყოფში. მეორე დანაყოფში სისტემურად იკვლევა ინოვაციების გავრცელების დარგობ-

რივი (სექტორული და ქვესექტორული) პრობლემები, ამასთან ისინი სისტემატიზებულია იმ ინოვაციების ჭრილში, რომელიც ვრცელდება მხოლოდ ცალკეული კონკრეტული დარგების ფარგლებში, და იმ ინოვაციების ჭრილში, რომელიც ვრცელდება მრავალ დარგში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ან უფრო ფართო გაგებით, ციფრული ეკონომიკის), მწვანე ეკონომიკის (მსოფლიოში დასანერგი ინოვაციების 40%-მდე), წრიული ეკონომიკის და კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიების ხაზით.

თანამედროვე წარმოდგენებზე დაყრდნობით, **პირველ დანაყოფში** შედგენილია ინოვაციების კლასიფიკაცია მათი იდენტიფიკაციის რიგი კრიტერიუმების მიხედვით, აგრეთვე სისტემატიზებულია და დახასიათებული ინოვაციების შემუშავების და გავრცელების ხერხები.

ინოვაციების სახეები მოყვანილია და გაშუქებული შემდეგი კრიტერიუმების ჭრილში: მნიშვნელოვნობის მიხედვით (საბაზისო, გასაუმჯობესებელი და ფსევდო-ინოვაციები); ბაზრისა ან საწარმოსათვის სიახლის ხარისხის მიხედვით და თავისი წინამორბედის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით (მემკვიდრეობითობის მიხედვით); დამუშავებლის (დამუშავების წყაროს) მიხედვით (საწარმოს ძალებით ან გარე წყაროს ძალებით); გამოყენების სფეროს ან სიახლის ტიპის მიხედვით (მატერიალურ-ტექნიკური ან ტექნოლოგიური; სოციალური ინოვაციები, საორგანიზაციო-მმართველობითი, სამართლებრივი და პედაგოგიური ინოვაციების ჩათვლით; ეკონომიკური; ეკოლოგიური; მწვანე ეკონომიკის სფეროში; წრიული ეკონომიკის სფეროში; მარკეტინგული; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ან ციფრული და სხვა); საგნის და მისი გამოყენების სფეროს მიხედვით (საპროდუქტო და საპროცესო); გავრცელებულობის ნიშნის (მასშტაბის) მიხედვით (ცალკეული და დიფუზიური ინოვაციები, რომელთა გავრცელება ხდება მრავალ დარგში); საწარმოს, ფირმის, ორგანიზაციის სისტემაში ადგილის მიხედვით (ინოვაციები საწარმოს შესასვლელზე; საწარმოს სისტემური სტრუქტურის ინოვაციები, ინოვაციები საწარმოს გასასვლელზე); სიახლის ფორმის მიხედვით; ი) ღირებულების ჯაჭვის ელემენტების მიხედვით; წარმოქმნის მიზეზის მიხედვით; მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხასიათის მიხედვით; ინოვაციის დანერგის შედეგად მიღებული ეფექტის სახეობის მიხედვით.

შემდეგ სისტემატიზებულია ინოვაციების დამუშავების ხერხები. დამუშავების კრიტერიუმის მიხედვით ინოვაცია შეიძლება შემუშავებული იყოს ან საწარმოს ძალებით ან გარე წყაროს ძალებით, ამასთან ყველაზე ხშირად, ინოვაციები, განსაკუთრებით საბაზისო და გასაუმჯობესებელი, მუშავდება გარე სპეციალიზირებული სუბიექტების მიერ, რომლებიც სისტემატიზებული და აღწერილია პირველი დანაყოფის შესაბამის პუნქტში (ინოვაციების დამუშავების ხერხები).

ვრცლად სისტემატიზებული და დახასიათებულია ინოვაციების გავრცელების ხერხები. ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, პსევდო-) შიდა (საწარმოს ან ორგანიზაციის შიგნით) შემუშავების შემთხვევაშიც, მათი გავრცელების პირობები ხშირად მოითხოვენ საპატენტო ლიცენზიების, ტექნოლოგიური დოკუმენტაციის და ა. შ. შესყიდვას. თუმცა, რაც სავსებით ბუნებრივია, საშუალო და მცირე ორგანიზაციების უმეტესობაში (სპეციალიზირებული ინოვაციური საწარმოების გამოკლებით) ინოვაციების გავრცელება ხდება საბაზისო

(მათ შორის “კონტრაქტების გასაღების ჩაბარებით” ფორმაში) და სხვადასხვა სახით (მოწყობილობა, დოკუმენტაცია, ლიცენზიები, საკონსულტაციო მომსახურება და ა. შ.) გასაუმჯობესებელი და მოდიფიკაციური ინოვაციების შესყიდვის გზით, ხშირად იმ სპეციალისტების მოწვევით, რომლებიც ხელს უწყობენ მათ დანერგვას.

ბუნებრივია, რომ ინოვაციების წარმოებაში წინ წაწევის (გავრცელების) ძირითად გზას წარმოადგენს როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი, საპროდუქტო და საპროცესო ინოვაციების სესხება (ყველაზე ხშირად იმპორტი) მათი წინ წაწევის ყოველ სტადიაზე.

პირველი განაყოფის დასასრულს მოყვანილი და დახასიათებულია განვითარებულ ქვეყნებში არსებული წარმოებაში ინოვაციების წინ წაწევის (გავრცელების) ძირითადი თანამედროვე მექანიზმები.

ინოვაციების კლასიფიკაციური მახასიათებლებისა და მათი დამუშავების და გავრცელების ხერხების განზოგადება და სისტემეტიზაცია არსებით პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მას აქვს პოტენციური უნარი, რომ მოგვცეს დეტალური წარმოდგენა ამა თუ იმ პროგრესული სიახლის მახასიათებლებზე, იძლევა ინავაციების თავისებურებების იდენტიფიკაციისა და ინოვაციური საქმიანობის წარმატებული მართვის შესაძლებლობას. კერძოდ, ეს საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის საწარმოებში ინოვაციების დანერგვის ადეკვატური მხარდაჭერის განსახორციელებლად.

მეორე დანაყოფში განხილულია ინოვაციების გავრცელების თანამედროვე სექტორული პრობლემები, პირველ დანაყოფში განხორციელებული ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის შედეგების მხედველობაში მიღებით.

როგორც ცნობილია, სამეურნეო დარგები (დარგები საქმიანობის სახეების ჭრილში ან დარგები მათში წარმოებული პროდუქციისა ან მომსახურების ჭრილში) ვითარდება მათში ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდოინოვაციების) დიფუზიის (გავრცელების) შედეგად, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათში ახალი ტექნოლოგიების დიფუზიის შედეგად. ამასთან ხდება არა მარტო ფიზიკური ტექნოლოგიების განახლება (მოდერნიზაცია), არამედ სოციალურ-ინსტიტუციური ტექნოლოგიების განახლებაც (სახელმწიფო მმართველობის ან ბიზნესტექნოლოგიების, ე. ი. საბაზრო და სხვა საწარმოო ტექნოლოგიების, ასევე, სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების სახელმწიფო კოორდინაციის ტექნოლოგიების).

თუ ვიმსჯელებთ იმ ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდო-) რაოდენობის თვალსაზრისით, რომლებიც ამჟამად ბევრ დარგში ვრცელდება (გავრცელების კრიტერიუმის მიხედვით), მაშინ თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საკვანძო ფაქტორის ინოვაციებია: ინოვაციები, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით (ამჟამად უპირატესად ციფრული ტექნოლოგიები) – ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40%; ინოვაციები, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში მწვანე ეკონომიკის ხაზით – ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40% (თუმცა, ინოვაციები მწვანე ეკონომიკის ხაზით ნაწილობრივ ემთხვევა ინოვაციების, რომლებიც აღირიცხება ცირკულარული ეკონომიკის და ეკოლოგიის ხაზით); ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში ცირკულარული ეკონომიკის და ეკოლოგიის ხაზით; ჯანდაცვის სფეროში გავრ-

ცელებადი ბიოტექნოლოგიური ინოვაციები (მიკრობიოლოგია, მოლეკულარული და უჯრედის ბიოლოგია, ბიოქიმია, ებრიოლოგია, გენური ინჟინერია, ვირუსოლოგია და ა. შ.).

ამ დანაყოფში დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციებს, რომელიც ვრცელდება **ციფრული (ან საინფორმაციო-საკომუნიკაციო) ტექნოლოგიების** ხაზით.

სწორედ სწრაფმოქმედებამ და უნივერსალურობამ გახადა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ასეთი მოკითხული (პოპულარული) თანამედროვე მეცნიერებაში, წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში. კომპიუტერები, სმარტფონები, სატელევიზიო ციფრული ელექტრონიკა და ა. შ. უნიკალური ფენომენია, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ძირფესველად შეცვალა პლანეტის ყველა მკვიდრის ცხოვრება. ამ უკვე არსებული ტექნოლოგიების სფეროში მათი მოდერნიზაცია ხდება ძირითადად გასაუმჯობესებელი და ფსევდი-ინოვაციების რეალიზაციის გზით.

შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენების შესაძლებლობებზე გადასვლა საწარმოთა მართვის ავტომატიზირებული სისტემების გამოყენებით, რესურსების ეფექტიანი განაწილების, ელექტრონული ბუღალტერიის, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის, აგრეთვე წარმოების, გარემოს მონიტორინგისა და მენეჯერული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სისტემების გათვალისწინებით, ხარისხობრივი ნახტომის განხორციელებისა და არსებული ეკონომიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლევა. ეს გადასვლა უკვე მიმდინარეობს, შესაბამისი საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების რეალიზაციის გზით. ამასთან, მთელ მსოფლიოში ამ მიმართულებებით იზრდება ახალი ინოვაციური დამუშავებების მოცულობა.

თანამედროვე მკვლევარები და სპეციალისტები გამოყოფენ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ათ ძირითად მიმართულებას (ამ სფეროებში ხორციელდება როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციები, ზოგიერთი მათგანი საპროდუქტოა, მაგრამ უმეტესობა საპროცესოა, თუმცა მომსახურების სფეროში ბევრი მათგანი შეიძლება განისაზღვროს როგორც საპროდუქტო ინოვაცია): 1. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება (AI and Machine Learning); 2. ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები (Blockchain and Cryptocurrencies); 3. დიდი მონაცემები (Big Data); 4. ტელემედიცინა (Telemedicine); 5. დამატებული და ვირტუალური რეალობა (AR/VR); 6. ჩათ-ბოტები და ვირტუალური ასისტენტები (Bots and Virtual Assistants); 7. მობილობა და კიბერუსაფრთხოება (Mobile and Cybersecurity); 8. ნივთების ინტერნეტი (IoT – Internet of Things); 9. კომპიუტერული ხედვა (Computer Vision); 10. ხელოვნური ნეირონული ქსელები ((Artificial Neural Networks). ამ მიმართულებების უმეტესობის მიხედვით შესაბამისი ინოვაციები შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკის ყველა სექტორში.

ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ინოვაციებს, რომელიც ვრცელდება **მწვანე ეკონომიკის** ხაზით.

“მწვანე” ეკონომიკის განვითარების ყველა მიმართულება მოითხოვს ინოვაციების დანერგვას, როგორც სრულიად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სახით (საბაზისო ინოვაციები), ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციების დანერგვის სახით, მაგალითად, სამრეწველო მოწყობილობის ენერგოეფექტიანობის ამაღლების მიზნით. შეიძლება გამოვყოთ “მწვანე” ეკონომიკის განვითარების შემდეგი განზოგადებული საკვანძო მიმართულებები: 1. ეკოსისტემების ზოგადი

მართვა – “წარჩენების მართვა, ბრძოლა წყლის და ჰაერის დაბინძურებასთან, მიწის (ნიადაგის) აღდგენა და რაციონალური გამოყენება, ტყეების აღდგენა და დარგვა; 2. განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა; 3. მშპ-ს ენერგო-ტევადობის შემცირება და ენერგოეფექტიანობის გაზრდა (შენობა-ნაგებობების მშენებლობა და საბინაო-კომუნალური მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა); 4. ელექტროტრანსპორტის განვითარება; 5. ორგანული მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობაში; 6. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება.

მეორე დანაკოფში ასევე განიხილება ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება **კომპოზიტური მასალების** ხაზით. კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოება თავისთავად წარმოადგენს მრეწველობის დარგს. ინოვაციური ნაკეთობები კი მათგან გამოიყენება მრეწველობის, ენერგეტიკის და მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ექსპერტული შეფასებების მიხედვით კომპოზიტებიდან პროდუქციის ძირითადი მომხმარებლებია მანქანათმშენებლობა (უპირველეს ყოვლისა სატრანსპორტო) – დაახლოებით 28%, სამშენებლო ინდუსტრია (საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის მიღებისა და საცავების ჩათვლით) – დაახლოებით 24%, ენერგეტიკა და ელექტრონიკა, ქარის ენერგეტიკის ჩათვლით – დაახლოებით 23%, ნავთობ-აირის დარგი – დაახლოებით 10%, სპორტი, მედიცინა, ფერადი მეტალურგია.

კომპოზიტური მასალები იყოფა სამ ჯგუფად: პოლიმერული კომპოზიტური მასალები; კომპოზიტური მასალები ლითონური მატრიცით; კომპოზიტური მასალები კერამიკის საფუძველზე. ნაშრომის მეორე დანაკოფში ჩამოთვლილია და დახასიათებულია ამ ინოვაციური მასალების სახეები, ასევე ჩამოთვლილია ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობით აწარმოებენ ამ მასალებსა და მათგან ნაკეთობებს, დასახელებულია დარგები, რომლებშიც გამოიყენება ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინოვაციური ნაკეთობები კომპოზიტური მასალებიდან.

ბიზნესი – BUSINESS

გიორგი ბერულავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ პაატა გუგუშვილის სახ.

ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე,

თეიმურაზ გოგოხია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Berulava.Gogokhia

**ბიზნესგარემოს ზეგავლენა ფირმის ინოვაციას, მწარმოებლურობასა და
ექსპორტს შორის არსებულ სტრუქტურულ ურთიერთკავშირზე
გარდამავალ ეკონომიკებში²**

ანოტაცია. სტატიაში წარმოდგენილია ემპირიული ხასიათის კვლევა, რომელიც ორიენტირებულია გამოავლინოს ინდივიდუალური ფირმების საექსპორტო საქმიანობაზე ბიზნესგარემოს ზეგავლენა გარდამავალ ეკონომიკებში. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია გარდამავალი ეკონომიკის 28 ქვეყანაში 2012-2014 წლებში მსოფლიო ბანკის და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ ერთობლივად შესრულებული ე.წ. BEEPS³-ის მე-5 რაუნდის ფირმის (მიკრო) დონის მონაცემები. გაფართოებული ეკონომეტრიკული CDM მოდელის გამოყენების საფუძველზე განხორციელდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პირობებში მოქმედი ინდივიდუალური ფირმების დონეზე არსებული შესაბამისი სტრუქტურული ურთიერთობების შესწავლა ისეთ ფაქტორებს (ცვლადებს) შორის, როგორიცაა:

- ბიზნესგარემო;
- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს)⁴;
- ინოვაცია;
- შრომის მწარმოებლურობა და
- საექსპორტო საქმიანობა.

მოდელი შეფასდა თანმიმდევრულად, ეტაპობრივად. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უკეთესი ბიზნესგარემო სტიმულს აძლევს ფირმებს სკსსს-ში ინვესტიციების ჩასადებად, თუმცა ამას გავლენა არ აქვს სკსსს-ის ინტენსიურ სიდიდეზე (*the intensive margin of R&D*). ზოგადად, სტრუქტურული მოდელის შეფასებებმა დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ ბიზნესგარემო დადებით ზეგავლენას ახდენს როგორც ინოვაციასა და შრომის მწარმოებლურობაზე, ისე

² კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით [გრანტის ნომერი №YS-18-1304].

³ BEEPS – Business Environment and Enterprise Performance Survey (ბიზნესგარემოსა და საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლების გამოკვლევა) - <https://www.enterprisesurveys.org>.

⁴ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს) = Research and Development (R&D).

ექსპორტის მიმართ მიდრეკილებაზე. წარმოდგენილი კვლევა ასევე ადასტურებს ადრეული კვლევების ფარგლებში გაკეთებულ დასკვნებს, რომ სკსს ინოვაციის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია, ინოვაცია – შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მამოძრავებელი ძალა, ხოლო შრომის მწარმოებლურობა, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის საექსპორტო ბაზრებზე ფირმის მონაწილეობის ალბათობას.

საკვანძო სიტყვები: გარდამავალი ეკონომიკა, ბიზნესგარემო, ინოვაცია, შრომის მწარმოებლურობა, ექსპორტი.

1. შესავალი

არაერთი მოსაზრებით, ინოვაცია, მწარმოებლურობის ზრდა და ექსპორტი ის ეკონომიკური ფაქტორებია, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის ასამაღლებლად. მსოფლიო გამოცდილება უამრავ მტკიცებულებას იძლევა იმის შესახებ, რომ ინოვაციებისა და ექსპორტის წახალისება განვითარებადი ბაზრების ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს. მრავალი წელია, რაც მიმდინარეობს დისკუსია იმ ფაქტორების გარშემო, რომლებიც ინოვაციური და საექსპორტო საქმიანობის წარმატებას განსაზღვრავს. აკადემიურ ლიტერატურაში სიღრმისეულად არის შესწავლილი როგორც ფირმის მიერ კონტროლირებადი, ისე გარე ფაქტორები. მაგრამ, ბიზნესგარემოს, როგორც ერთ-ერთი გარე ფაქტორის, როლი კომპანიების ინოვაციის, მწარმოებლურობისა და საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობაში და, ასევე, ამ ფაქტორებს შორის სტრუქტურული ურთიერთკავშირები შედარებით ნაკლებად შესწავლილი რჩება. ამ სტატიაში კი ყურადღება გამახვილებულია ბიზნესგარემოს მნიშვნელობაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედი ფირმების „ინოვაცია-მწარმოებლურობა-ექსპორტ“-ზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

წარმოდგენილ კვლევაში ეკონომეტრიკული სტრუქტურული მოდელის შეფასებების შედეგად დადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა, რომელიც ეხება ბიზნესგარემოს ზეგავლენას ისეთ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირზე, როგორიცაა: სკსს-ში ინვესტიციები, ინოვაციები, შრომის მწარმოებლურობა და ექსპორტი. ეს კვლევა ასევე ადასტურებს ადრეული კვლევების აღმოჩენებს, რომლის მიხედვით სკსს ინოვაციის მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს, ინოვაცია – შრომის მწარმოებლურობის მამოძრავებელ ძალას, ხოლო შრომის მწარმოებლურობა, თავის მხრივ, არსებითად ზრდის საექსპორტო ბაზრებზე ფირმის მონაწილეობის ალბათობას. კვლევის შედეგების მიხედვით, ზოგადად, ნაჩვენებია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ბიზნესგარემო, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ცოდნაში ინვესტიციების განხორციელებისა და ინოვაციური აქტივობების სტიმულირებას, ხოლო მეორე მხრივ – მწარმოებლურობის ამაღლებასა და ექსპორტის წახალისებას, ფირმის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

სტატიის სტრუქტურა შემდეგნაირად არის განსაზღვრული: მე-2 თავში ფარგლებში განხორციელდა იმ კვლევებთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ეხება ისეთი ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას, როგორიცაა: ბიზნესგარემო, ინოვაცია, მწარმოებლურობა და ექსპორტი. აქვე, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, ჩამოყალიბდა კვლევის შესაბამისი ჰიპოთეზები. მე-3 თავში განვიხილეთ კვლევის მეთოდოლოგია, მათ შორის

ემპირიული კვლევის სტრატეგია და საზომი მაჩვენებლები (measures), მონაცემთა ბაზა და კვლევაში გამოყენებული ცვლადების მახასიათებლები. მე-4 თავის ფარგლებში წარმოდგენილია კვლევის შედეგების ანალიზი, ხოლო შემოჯამებული დასკვნები და შენიშვნები მოცემულია ბოლო, მე-5 ნაწილში.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

სტატია ფოკუსირებულია ბიზნესგარემოს ფაქტორზე, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფირმების ინოვაციებზე, მწარმოებლურობასა და საექსპორტო საქმიანობაზე გარდამავალი ეკონომიკების პირობებში.

ლიტერატურაში ჯეროვნად არის აღიარებული სტრუქტურული კავშირის არსებობა ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა, ერთი მხრივ, ინოვაცია და მწარმოებლურობა, ხოლო მეორე მხრივ – მწარმოებლურობა და ექსპორტი.

დღეს უკვე საკმაოდ დიდი მოცულობის ლიტერატურა არსებობს, რომელიც ეხება „ინოვაცია-მწარმოებლურობა“-ის დამოკიდებულების დადგენას, და ჯერ კიდევ გრილიჩისის (Griliches, 1979) და ფეიქსისა და გრილიჩისის (Pakes and Griliches, 1980) ფუნდამენტური ნაშრომებიდან დაწყებული, იკვლევს ურთიერთკავშირებს, რომელიც შეიძლება არსებობდეს ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა: სკსსს-ში წარსული და მიმდინარე ინვესტიციები, ცოდნის გენერაცია და მწარმოებლურობის ზრდა. კვლევების ეს მიმართულება გააფართოვეს მეცნიერებმა – კრეპონმა, დიუგემ და მერესმა (Crepon, Duguet, and Mairesse, 1998), რომლებმაც ერთმანეთისგან გამოიჯნეს ინოვაციური დანახარჯებისა (სკსსს-ისა) და ინოვაციური შედეგების (ცოდნის) ცნებები. ამ ავტორების მიერ შემოთავაზებული მიდგომის საფუძველზე, რომელიც შემდგომ CDM⁵ მოდელის სახელწოდებით გახდა ცნობილი, მწარმოებლურობის ამაღლება ახსნილია ინოვაციური შედეგებით, ხოლო ინოვაციური შედეგები – ინოვაციური დანახარჯებით, ანუ სკსსს-ის შესრულებით. აღნიშნულ ფაქტორებს შორის ეს დამოკიდებულება შესწავლილი იქნა და დადასტურდა უამრავი ემპირიული კვლევით როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაგალითზე (Loof et al., 2003; Griffith et al., 2006; Hall and Mairesse 2006; Mairesse and Robin, 2009; EBRD, 2014; Disoska et al., 2018; Toshevska-Trpchevska et al., 2019; Berulava and Gogokhia, 2016; Berulava and Gogokhia, 2018; Masso and Vahter, 2012; Friesenbichler and Peneder, 2016).

მეორე მხრივ, ლიტერატურა, რომელიც ეხება ურთიერთკავშირის გამოვლენას ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა ფირმის საექსპორტო საქმიანობა და მწარმოებლურობა, ხაზს უსვამს ორ ალტერნატივას, მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს (Wagner, 2007; Bernard and Jensen, 1999; Bernard and Wagner, 1997).

მკვლევართა ერთი ჯგუფი გამოყოფს სწავლების ეფექტს, რომლის მეშვეობითაც საექსპორტო ბაზრებზე მონაწილეობა ფირმებს უფრო მწარმოებლურს ხდის. კვლევის სხვა მიმართულება, რომელიც ეყრდნობა ჰეტეროგენულ ფირმასთან დაკავშირებულ *მელიტის* მოსაზრებას (Melitz, 2003), მიიჩნევს, რომ უფრო მწარმოებლური ფირმები თვითონ ირჩევენ, დაიწყონ თუ არა საქმიანობა საექსპორტო ბაზრებზე და რომ ეს არის ფირმის მიზანმიმართული სტრატეგიის შედეგი. აღნიშნული მიდგომა ქმნის მყარ თეორიულ საფუძველს მწარმოებლურობასა და ექს-

⁵ CDM – C – Crepon, D – Duguet, M – Mairesse.

პორტს შორის სტრუქტურული ურთიერთობების გასაგებად (Bernard and Wagner, 1997; Melitz, 2003).

აღსანიშნავია ზოგიერთი კვლევა, რომელიც შეისწავლის ბიზნესგარემოს გავლენას ინოვაციასა და მწარმოებლურობაზე და ბიზნესკლიმატის სხვადასხვა განზომილების როლს ფირმების საექსპორტო საქმიანობის სტიმულირებაში. მაგალითად, განვითარების საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებში მოცემულია შემდეგი ემპირიული მტკიცებულებები: სავაჭრო და საბაჟო შემზღუდავ რეგულაციებს, ასევე ცუდ საბაჟო ადმინისტრაციას შეუძლია ხელი შეუშალოს მწარმოებელ საწარმოთა ექსპორტს (Clarke, 2005); ბიზნესკლიმატი და ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფირმის საექსპორტო შესაძლებლობებზე (Escribano and Guasch, 2005; Dollar et al., 2005; Iwanow and Kirkpatrick, 2008); სერვისების ლიბერალიზაცია, რომელიც ამცირებს წარმოების ხარჯებს, ზრდის ან მწარმოებლურობას ქვედა დონის სექტორებში (in downstream sectors) (Arnold, Javorcik and Mattoo, 2011; Arnold, Mattoo and Narciso, 2008; Fernandes and Paunov, 2012), ან მწარმოებელთა საექსპორტო საქმიანობას გარდამავალ ეკონომიკებში (Berulava, 2011, 2012). Véganzone-Varoudakis and Nguyen (2018)-ის კვლევის თანახმად, კომპანიების მწარმოებლურობის შედეგიანობა დამოკიდებულია საინვესტიციო კლიმატის შეზღუდვებზე. ანალოგიურად, Plane and Véganzone-Varoudakis (2019)-ის მიხედვით, როდესაც ინდოეთის მაგალითზე იკვლევდნენ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ფირმის დონეზე ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა: ინოვაცია, მწარმოებლურობა, ექსპორტი და საინვესტიციო კლიმატი, აღმოაჩინეს, რომ საინვესტიციო კლიმატი წარმოადგენს მწარმოებლებისთვის ინოვაციური პროცესებისა და მწარმოებლურობის მნიშვნელოვან დეტერმინანტს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა (Gogokhia and Berulava, 2020), რომლის ფარგლებში ე.წ. BEEPS-ის მე-5 რაუნდის მონაცემთა ბაზის გამოყენების საფუძველზე შევისწავლეთ ბიზნესგარემოს როლი ინდივიდუალური ფირმების ინოვაციებისა და მწარმოებლურობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მაგალითზე. კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ ბიზნესგარემოს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმ ურთიერთკავშირზე, რომელიც არსებობს ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა სკსსს-ში ინვესტიციები, ინოვაციები და შრომის მწარმოებლურობა, თუმცა კომპანიის საქმიანობაზე გავლენის სქემები განსხვავდება ბიზნესგარემოს სხვადასხვა განზომილებების მიხედვით. ამასთან, აღსანიშნავია Rialp-Criado & Komochkova (2017)-ის კვლევა, რომლის მიხედვით ჩინეთის მაგალითზე გამოჩნდა, რომ ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს ინოვაციურ პროცესებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო საქმიანობას შორის, დამოკიდებულია ბიზნესგარემოს რამდენიმე განზომილებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საკმაოდ ინტენსიურად არის შესწავლილი ისეთი კავშირები, როგორიცაა „ინოვაცია-მწარმოებლურობა“ და „მწარმოებლურობა-ექსპორტი“, ამ ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი გარკვეულწილად შეუსწავლელი რჩება.

პირველი, ერთიანი სტრუქტურული მოდელის ფარგლებში ურთიერთობა ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა ინოვაცია, მწარმოებლურობა და ექსპორტი, კვლავ საჭიროებს შემდგომ გამოკვლევას.

მეორე, ისეთი გარე ფაქტორების, მაგალითად ბიზნესგარემოს, გავლენა ამ სტრუქტურულ ურთიერთობებზე ასევე მეტ ყურადღებას იმსახურებს მეცნიერებისგან. ამ ნაშრომის მიზანია, დაძლიოს არსებული შეზღუდვები ერთიანი სტრუქტურული ჩარჩოს ფარგლებში „ინოვაცია-მწარმოებლურობა-ექსპორტი“-ს კავშირზე ბიზნესგარემოს ზეგავლენის შესწავლით.

ამ კონტექსტში, *ანტონიეტისა და კაინელის* (Antonietti and Cainelli, 2011) მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც ინოვაციას, მწარმოებლურობასა და ექსპორტს შორის არსებულ კავშირს ერთობლივ მოდელში აქცევს და ამ კავშირზე გარე ფაქტორის გავლენის შეფასებას ახდენს, ფასეულ და გასათვალისწინებელ მიდგომას წარმოადგენს. კერძოდ, ავტორები ტრადიციულ CDM მოდელს აფართოებენ ერთი მხრივ, ახალი, საექსპორტო საქმიანობასთან დაკავშირებული განტოლების დამატებით, ხოლო მეორე მხრივ - სივრცითი აგლომერაციის გარე ფაქტორების (spatial agglomeration externalities) როლის შესწავლით, რომელსაც ისინი ასრულებენ „სკსსს-ინოვაცია-მწარმოებლურობა-ექსპორტი“-ს კავშირში. მოდელი მოიცავს ხუთ განტოლებას, სადაც პირველი ორი განსაზღვრავს სკსსს-ის განხორციელებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას და სკსსს-ის ინტენსივობას; მესამე ეხება ინოვაციურ დანახარჯსა და ინოვაციურ შედეგს; მეოთხე განტოლება შეისწავლის ინოვაციური შედეგის გავლენას საერთო ფაქტორულ მწარმოებლურობაზე (Total Factor Productivity - TFP); ხოლო ბოლო განტოლება ასახავს საერთო ფაქტორული მწარმოებლურობის კავშირს საექსპორტო საქმიანობის შედეგიანობასთან. კვლევის შედეგები აჩვენებს სივრცითი აგლომერაციის სხვადასხვა ინდიკატორების მნიშვნელოვან და დადებით გავლენას „სკსსს-ინოვაცია-მწარმოებლურობა-ექსპორტი“-ს კავშირის თითოეულ ელემენტზე. ჩვენი მიზნის მისაღწევად ვიყენებთ *ანტონიეტისა და კაინელის* (Antonietti and Cainelli, 2011) სტრუქტურულ მიდგომას გარკვეული მოდიფიკაციებით. ჩვენ ჩავანაცვლებთ სივრცის აგლომერაციის ფაქტორებს ბიზნესგარემოს სხვადასხვა საზომებით და შემდგომ შევისწავლით მათ გავლენას „სკსსს-ინოვაცია-მწარმოებლურობა-ექსპორტი“-ს სტრუქტურულ კავშირზე გაფართოებული CDM მოდელის გამოყენებით.

ჩვეულებრივ, აკადემიურ ლიტერატურაში ბიზნესგარემო განიხილება როგორც შესაბამისი ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური ფირმებისთვის ბიზნესკეთების ხარჯებს და რომელიც გავლენას ახდენს ამ ფირმების საინოვაციო და საექსპორტო საქმიანობისკენ მიდრეკილებაზე (Carlin and Seabright, 2009; Iwanow and Kirpatrick, 2008; EBRD, 2014). ჩვენს ნაშრომზე დაყრდნობით (Gogokhia and Berulava, 2020), წარმოდგენილ კვლევაში ვიყენებთ ბიზნესგარემოს ინდექსს, როგორც ბიზნესგარემოს შემცველ ცვლადს (proxy). ინდექსი გამოითვლება, როგორც სხვაობა ბიზნესგარემოს (სხვადასხვა საზომებთან დაკავშირებულ) დაბრკოლებების სუბიექტური შეფასებების (კონკრეტული ადგილმდებარეობის მიხედვით აგრეგირებულ) საშუალო ქულებს შორის ინოვაციური და არაინოვაციური ფირმებისათვის. ბიზნესგარემოს გაზომვის ასეთი მიდგომა ემყარება წინა ემპირიული კვლევების შედეგებს (EBRD, 2014), რომელიც ცხადყოფს, რომ ფირმები, რომლებიც ინოვაციურ ან საექსპორტო საქმიანობას ეწევიან, ჩვეულებრივ, უფრო მაღალ დაბრკოლებებს აწყდებიან, ვიდრე ფირმები, რომლებიც ამ ტიპის საქმიანობაში არ არიან ჩართული. ამრიგად, რაც უფრო მცირე იქნება სხვაობა ერთსა და იმავე რეგიონში მდებარე ინოვაციურ და არაინოვაციურ ფირმებს შორის

ბიზნესის კეთების დაბრკოლებების აღქმის თვალსაზრისით, მით უკეთესი იქნება იქ ინოვაციებისა და ექსპორტის ხელშეწყობი ბიზნესგარემო.

ამ ნაშრომში ვაფართოვებთ ჩვენს მიერ განხორციელებულ კვლევას (Gogokhia and Berulava, 2020) „სკსსს-ინოვაცია-მწარმოებლურობ“-ის სტრუქტურულ მოდელში დამატებითი განტოლების ჩართვით, რომელიც ასახავს საექსპორტო საქმიანობას. ჩვენ ასევე ვიყენებთ განსხვავებულ მიდგომას ამ სტრუქტურული ურთიერთობის შესაფასებლად და გაფართოებულ CDM მოდელს. მოდელი მოიცავს ისეთ ხუთ განტოლებას, როგორიცაა: სკსსს-ის გადაწყვეტილების განტოლება; სკსსს-ის ინტენსივობის განტოლება; ინოვაციის განტოლება; მწარმოებლურობის განტოლება; ექსპორტის განტოლება. მოდელის შეფასება ხდება თანმიმდევრულად ან ეტაპობრივად. ჩვენ ვახორციელებთ ბიზნესგარემოს ეფექტების ტესტირებას „სკსსს-ინოვაცია-მწარმოებლურობა-ექსპორტი“-ს სტრუქტურული კავშირის ყოველ ეტაპზე, სტრუქტურული მოდელის ყოველ მომდევნო განტოლებაში ბიზნესგარემოს ინდექსის ჩართვის მეშვეობით. ამრიგად, ჩვენი მოდელი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- პირველ ეტაპზე ფირმის სკსსს-თან დაკავშირებული არჩევანის აქტივობა (ინოვაციური დანახარჯის ექსტენსიური სიდიდე) აიხსნება ბიზნესგარემოს ინდექსით და სხვა შესაბამისი დეტერმინანტებით.
- მეორე ეტაპზე ფირმის სკსსს-ის ინტენსივობა (ინოვაციური ხარჯების ინტენსიური სიდიდე) აიხსნება როგორც სკსსს-ის არჩევანისა და ბიზნესგარემოს ინდექსის, ისე სხვა შესაბამისი დეტერმინანტების გამოთვლილი სიდიდით (a predicted value);
- მესამე ეტაპზე ინოვაციური შედეგები უკავშირდება ინოვაციურ დანახარჯებსა და ბიზნესგარემოს ინდექსს;
- მეოთხე ეტაპზე ჩვენ ვაფასებთ შრომის მწარმოებლურობაზე ინოვაციური შედეგისა და ბიზნესგარემოს ინდექსის გამოთვლილი სიდიდის (a predicted value) ზეგავლენას;
- დასკვნით ეტაპზე ფირმის საექსპორტო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებული არჩევანი მოდელირებულია შრომის მწარმოებლურობისა და ბიზნესგარემოს ინდექსის გამოთვლილი სიდიდით (a predicted value).

არსებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოტანილ დასკვნებზე დაყრდნობით, ჩვენ ჩამოვყალიბებთ კვლევის შემდეგი ჰიპოთეზები:

- *H1. რაც უფრო დაბალია ბიზნესგარემოს ინდექსი, მით უფრო მაღალია ფირმის სკსსს-ის ექსტენსიური სიდიდე.*
- *H2. რაც უფრო დაბალია ბიზნესგარემოს ინდექსი, მით უფრო მაღალია ფირმის სკსსს-ის შესრულების ინტენსივობა.*
- *H3. რაც უფრო დაბალია ბიზნესგარემოს ინდექსი, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ფირმა ჩაერთვება ინოვაციურ საქმიანობაში.*
- *H4. რაც უფრო დაბალია ბიზნესგარემოს ინდექსი, მით უფრო მაღალია ფირმის შრომის მწარმოებლურობის დონე.*
- *H5. რაც უფრო დაბალია ბიზნესგარემოს ინდექსი, მით უფრო მაღალია ფირმის მიდრეკილება საექსპორტო საქმიანობისკენ.*
- *H6. სკსსს-ი პოზიტიურ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინოვაციებზე.*

• *H7. ინოვაცია დადებით და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფირმის შრომის მწარმოებლურობაზე.*

• *H8. ფირმის შრომის მწარმოებლურობა დადებით და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საექსპორტო საქმიანობისკენ მის მიდრეკილებაზე.*

3. კვლევის მეთოდოლოგია

ამ თავის ფარგლებში მიმოვიხილავთ შერჩევისა და მონაცემთა მახასიათებლებს, დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების საზომებსა და ეკონომეტრიკულ მოდელს ჰიპოთეზების ტესტირებისთვის.

3.1. შერჩევა და მონაცემების აღწერა

ჩვენი კვლევის მონაცემების ძირითადი წყაროა BEEPS-ის მე-5 რაუნდის მონაცემები, რომელიც ეხება ეკონომიკის ფირმის (მიკრო) დონეს. BEEPS-ი ჩატარდა 2012-2014 წლებში ევროპული და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებში ერთობლივად მსოფლიო ბანკის (World Bank) და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მიერ. გენერალური ერთობლიობიდან გაკეთდა შემთხვევითი სტრატეგიული შერჩევა.

ყველა ქვეყანაში სტრატეგიული შერჩევის სამი დონე იქნა გამოყენებული: 1. ინდუსტრია/დარგი (ეკონომიკური საქმიანობის სახეობა); 2. ფირმების ზომა (მსხვილი ფირმა – დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 99-ზე მეტ კაცს, საშუალო ფირმა – 20-დან 99-მდე კაცს, მცირე ფირმა – 5-დან 19-მდე კაცს); 3. რეგიონი (მაგალითად, საქართველოში – თბილისი; ქვემო ქართლი; იმერეთი და რაჭა ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი; კახეთი; მცხეთა-მთიანეთი და შიდა ქართლი; აჭარა, გურია და სამეგრელო-ზემო სვანეთი).

შერჩევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ გამოცემაში – Sampling Manual⁶.

კვლევაში გამოყენებულია შერჩევა, რომელიც მოიცავს 28 ქვეყანას და 9,868 საწარმოს. ცხრილი 1 ასახავს დესკრიპტულ სტატისტიკას საანალიზო შერჩევისთვის.

ცხრილი 1. დესკრიპტული სტატისტიკა (Descriptive statistics)

ცვლადები	დაკვირვებების რაოდენობა	საშუალო მნიშვნელობა	სტანდარტული გადახრა
ბიზნესგარემოს ინდექსი (საერთო)	9,868	0.189	0.151
ბიზნესგარემოს ინდექსი – (ბიზნესის / ეკონომიკური მარეგულირებელი გარემო)	9,868	0.161	0.173
ბიზნესგარემოს ინდექსი – (ინფრასტრუქტურული გარემო)	9,868	0.209	0.217
ბიზნესგარემოს ინდექსი – (პოლიტიკური სტაბილურობის / იურიდიული გარემო)	9,868	0.227	0.257

⁶http://www.enterprisesurveys.org/~media/GIAWB/EnterpriseSurveys/Documents/Methodology/Sampling_Note.pdf

სკსსს-ის ცვლადი (ფიქტიური ცვლადი)	9,868	0.072	0.258
სკსსს-ის ინტენსივობა (ordinal)	9,868	1.122	0.490
ინოვაციის ცვლადი (ფიქტიური ცვლადი)	9,842	0.278	0.448
პროდუქციის გამოშვება ერთ დასაქმებულზე - Output per employee (Ln)	9,868	10.039	2.158
ექსპორტი (ფიქტიური ცვლადი)	9,868	0.215	0.411
ფირმის ზომა	9,868	63.4	280.1
ძირითადი ბაზარი (საერთაშორისო) (ფიქტიური ცვლადი)	9,868	0.075	0.264
უმაღლესი განათლება (%)	9,868	34.2	31.04
ფირმის ასაკი	9,868	22.6	128.6
უცხოური საკუთრება (ფიქტიური ცვლადი)	9,868	0.075	0.263
სახელმწიფო საკუთრება (ფიქტიური ცვლადი)	9,868	0.020	0.141
ახალი (ფიქტიური ცვლადი)	9,868	0.832	0.374
კონკურენცია	9,868	3.044	0.939
სუბსიდიები (ფიქტიური ცვლადი)	9,813	0.088	0.283
ელ.ფოსტა (ფიქტიური ცვლადი)	9,851	0.870	0.336
უცხოური ტექნოლოგიები (ფიქტიური ცვლადი)	9,693	0.129	0.335
მენეჯერული გამოცდილება	9,820	16.44	9.829

ცხრილის თანახმად, ბიზნესგარემოს ინდექსებს შორის პოლიტიკური სტაბილურობის/იურიდიული გარემოს ინდიკატორი წარმოადგენს ყველაზე მაღალ დაბრკოლებას ინოვაციური ფირმებისათვის, რომლის შემდეგ დგას ინფრასტრუქტურული გარემოს ინდიკატორი. ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოს ინდიკატორი ყველაზე ნაკლებ შეზღუდვებს უქმნის ფირმის უნარებსა და სტიმულებს, განახორციელოს ინოვაციური აქტივობები. საშუალოდ, ფირმების 7% ინვესტიციებს ახორციელებს სკსსს-ში, ხოლო ფირმების წილი, რომლებმაც განახორციელეს პროდუქტული ან პროცესული ინოვაციები, თითქმის ოთხჯერ მეტია - 27.8%. კომპანიების 21 პროცენტი უშუალოდ ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს; ამასთან, გლობალური ბაზარი წარმოადგენს ძირითად ბაზარს ფირმების მხოლოდ 7,5%-სთვის. საშუალოდ ფირმებში დასაქმებულია 63 თანამშრომელი, ხოლო დასაქმებულთა 34.2%-ს აქვს უმაღლესი განათლება. ფირმების საშუალო ასაკია 22,6 წელი. შერჩევაში ფირმების 83%-ზე მეტი ახლად დაარსებული ორგანიზაციაა, ხოლო საწარმოების 7.5%-ს ფლობენ უცხოელები, ხოლო 2%-ს - სახელმწიფო. შერჩევაში ფირმას კონკურენციული ბრძოლა უწევს, საშუალოდ, ექვსიდან ოცდახუთი კონკურენტის წინააღმდეგ. შერჩევაში კომპანიების თითქმის ცხრა პროცენტი იღებს სუბსიდიებს მთავრობისგან ან ევროკავშირისგან. შერჩევის უმეტესი ნაწილი (87%) იყენებს ელ. ფოსტას პარტნიორებთან კომუნიკაციისთვის. ფირმების დაახლოებით ცამეტი პროცენტი იყენებს უცხოურ ლიცენზირებულ ტექნოლოგიებს. სექტორში ტომპენეჯერების გამოცდილება საშუალოდ 16 წელს შეადგენს.

3.2. საზომი მაჩვენებლები (Measures)

ამ კვლევის ინტერესის საგანია ისეთი ცვლადი, როგორიცაა ბიზნესგარემოს ინდექსი. უკანასკნელი აღებულია ჩვენს მიერ განხორციელებული წინა კვლევიდან (Gogokhia and Berulava, 2020).

ბიზნესგარემოს ინდექსი შექმნილია ფირმების სუბიექტური შეფასებების ბაზაზე 5 ელემენტური სკალის საფუძველზე (0-დან 4-მდე, სადაც 0 ნიშნავს „არანაირი დაბრკოლება არ არსებობს“ და 4 – „არსებობს ძალზე სერიოზული დაბრკოლება“) იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეზღუდულად აღიქვამენ ისინი თავიანთ საქმიანობას ბიზნესგარემოს ისეთი ფაქტორების მიმართ, როგორიცაა: მიწის, ფინანსების, ელექტროენერგიის, ტელეკომუნიკაციების ხელმისაწვდომობა; საგადასახადო ტარიფები და ბიზნესგარემოს სხვა ფაქტორები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (Gogokhia and Berulava, 2020) შევქმენით ბიზნესგარემოს ოთხი საზომი მაჩვენებელი:

- 1) საერთო ბიზნესგარემოს ინდექსი;
- 2) ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემო (ფინანსების ხელმისაწვდომობა, გადასახადების განაკვეთები, საგადასახადო ადმინისტრირება, ბიზნესის ლიცენზირება და ნებართვები, საბაჟო და სავაჭრო რეგულაციები, მიწის ხელმისაწვდომობა, შრომის რეგულირება),
- 3) ინფრასტრუქტურული გარემო (ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი),
- 4) პოლიტიკური სტაბილურობის/სამართლებრივი გარემო (პოლიტიკური არასტაბილურობა, კორუფცია, სასამართლოები).

ბიზნესგარემოს თითოეული ინდექსის შესაქმნელად გამოვიყენეთ შეჯამებული სკალების მიდგომა - თითოეულ ფაქტორში ჩართულია საშუალო შეწონილი მნიშვნელობის ცვლადები. დასასრულ, ბიზნესგარემოს შემადგენელი საზომების გამოყენებით გამოვიანგარიშეთ ბიზნესგარემოს ინდექსი როგორც სხვაობა აგრეგირებულ (ქვეყნის და ადგილმდებარეობის ზომის მიხედვით) ქულათა შორის ინოვაციური და არაინოვაციური ფირმებისთვის. შედეგად, მივიღეთ ბიზნესგარემოს ოთხი ინდექსი: საერთო ბიზნესგარემოს ინდექსი, ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოს ინდექსი, ინფრასტრუქტურული გარემოს ინდექსი და პოლიტიკური სტაბილურობის/სამართლებრივი გარემოს ინდექსი. მიგვაჩნია, რომ პატარა სხვაობა და, შესაბამისად, დაბალი ბიზნესგარემოს ინდექსი მიუთითებს უკეთეს ბიზნესგარემოზე, რომელიც განაპირობებს ინდივიდუალური ფირმის ინოვაციურ, მწარმოებლურ და საექსპორტო შედეგიანობას.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი **ენდოგენური ცვლადები**:

სკსსს_dummy – ფიქტიური ცვლადი, რომელიც მიუთითებს, ახორციელებს თუ არა ფირმა ინვესტიციას სკსსს-ში;

სკსსს – ინოვაციური ხარჯის ინტენსიური სიდიდე, რომელიც გაიანგარიშება როგორც თანაფარდობა სკსსს-ზე გაწეული საერთო ხარჯებსა (თანხა, რომელიც დახარჯულია შიდა სკსსს-ის შესრულებასა და გარე ცოდნის შეძენაზე) და ყოველწლიურ გაყიდვებს შორის. Friesenbichler and Peneder (2016)-ის შესაბამისად, ჩვენ შევქმენით რიგითი სკალა (1-დან 4-მდე), სადაც: ნიშანი „1“ მინიჭებულია იმ ფირმებისთვის, რომლებსაც არა აქვთ სკსსს-ზე გაწეული ხარჯები; „2“ - იმ ფირ-

მებისთვის, სადაც სკსსს-სა და გაყიდვებს შორის თანაფარდობა არის 1.5%-ზე დაბალი; „3“ - იმ ფირმებისთვის, სადაც აღნიშნული თანაფარდობა არის 1.5%-დან 5%-მდე; „4“ - იმ ფირმებისთვის, სადაც ეს თანაფარდობა არის 5%-ზე ზევით.

ინოვაცია – ფიქტიური ცვლადი, რომელიც მიუთითებს, ახორციელებს თუ არა ფირმა პროდუქტულ ან პროცესულ ინოვაციას;

მწარმოებლურობა – გაიზომება როგორც საერთო გაყიდვებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობას შორის თანაფარდობის ლოგარითმი. ამ კვლევაში ჩვენ ვიყენებთ ამ ცვლადს, როგორც ფირმის შედეგიანობის გამზომ მაჩვენებელს;

ექსპორტი – ფიქტიური ცვლადი, რომელიც მიუთითებს, ყიდის თუ არა ფირმა პროდუქციას პირდაპირ ექსპორტზე.

ბიზნესგარემოს ინდექსთან ერთად მოდელი მოიცავს **ეგზოგენური ფაქტორების** შემდეგ ნაკრებს:

უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლების მქონე, სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა პროცენტი, რომელიც ასახავს ფირმაში დასაქმებული ადამიანისეული კაპიტალის ხარისხს;

ფირმის ზომა – ფირმაში სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რიცხვის ნატურალური ლოგარითმი;

ფირმის ასაკი – ფირმის ასაკის (წლებით დაფიქსირებული) ნატურალური ლოგარითმი;

უცხოელების წილი – ფიქტიური ცვლადი, რომელიც აჩვენებს, აღემატება თუ არა უცხოელების წილი საკუთრებაში ადგილობრივი მოქალაქეების წილს;

სახელმწიფო წილი – ფიქტიური ცვლადი, რომელიც აჩვენებს, აღემატება თუ არა სახელმწიფო წილი საკუთრებაში კერძო პირთა წილს;

ახალი – ფიქტიური ცვლადი, რომელიც აჩვენებს არის თუ არა ფირმა ახლად დაფუძნებული;

კონკურენცია – რიგითი ცვლადი, შექმნილი Friesenbichler and Peneder (2016)-ის კვლევის შესაბამისად. მთავარი პროდუქტისა და მომსახურებისთვის ძირითად ბაზარზე არსებული კონკურენტების რაოდენობაზე დაყრდნობით, ცვლადს ენიჭება მნიშვნელობა „1“, თუ ფირმა წარმოადგენს მონოპოლიას; მნიშვნელობა „2“ - თუ ფირმა აცხადებს, რომ ჰყავს 1-დან 5 კონკურენტამდე; „3“ - თუ კონკურენტების რაოდენობა 6-დან 25-მდეა; „4“ - თუ კონკურენტების რაოდენობა 26 ან მეტია;

სუბსიდიები – ფიქტიური ცვლადი, რომელიც აჩვენებს ფირმამ მიიღო თუ არა სუბსიდიები ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობიდან ან ევროკავშირიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში;

ელექტრონული ფოსტა – ფიქტიური ცვლადი, რომელიც გულისხმობს, რომ ფირმა ბიზნესპარტნიორებთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელ. ფოსტას;

უცხოური ტექნოლოგიები – ფიქტიური ცვლადი, რომელიც გულისხმობს, რომ ფირმა იყენებს უცხოურ ლიცენზირებულ ტექნოლოგიებს;

ძირითადი ბაზარი – შედგება სამი ინდიკატორისგან – **ლოკალური ბაზარი**, **ეროვნული ბაზარი** და **საერთაშორისო ბაზარი** – რაც ნიშნავს, რომ ფირმის მთავარი პროდუქტი, შესაბამისად, იყიდება ლოკალურ, ეროვნულ ან საერთაშორისო ბაზარზე;

მენეჯერული გამოცდილება – გაიზომება როგორც ტოპმენეჯერების გამოცდილება ამ სექტორში წლების მიხედვით;

ქვეყნის ცვლადები – ფიქტიური ცვლადები, რომლებიც ასახავს ქვეყნის ფიქსირებულ ეფექტებს. კვლევაში გამოყენებული ქვეყნების ჩამონათვალი: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბოსნია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, კოსოვო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ტაჯიკეთი, თურქეთი, უკრაინა და უზბეკეთი;

ინდუსტრიის/დარგის ცვლადები – ფიქტიური ცვლადები, რომლებიც ასახავს ინდუსტრიის/დარგის ფიქსირებულ ეფექტებს. კვლევაში გამოყენებული ინდუსტრიების/დარგების ჩამონათვალი: მრეწველობა (საკვები პროდუქციის წარმოება; ხე-ტყის დამუშავება და ხის ნაწარმის წარმოება; საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა, ჩაწერილი ინფორმაციის მატარებლების ტირაჟირება; ქიმიური წარმოება; რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება; არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება; მეტალურგიული წარმოება; ლითონის მზა ნაწარმის წარმოება; მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება; ელექტრული მანქანებისა და ელექტრომოწყობილობების წარმოება; ავეჯის წარმოება); საცალო ვაჭრობა; სხვა მომსახურება (საბითუმო ვაჭრობა; ინფორმაციული ტექნოლოგიები; სასტუმროები და რესტორნები; ავტომობილების მომსახურება; სატრანსპორტო მომსახურების გაწევა; მშენებლობა; ტრანსპორტი; ფოსტა და ტელეკომუნიკაცია).

ერთდროულობის პრობლემის მოსაგვარებლად გამორიცხვის შეზღუდვის სახით (an exclusion restriction) ჩვენ ვიყენებთ შემდეგ ცვლადებს:

ფირმის ზომა გამოიყენება როგორც არჩევის ცვლადი (selection variable) II ტიპის ტობიტ მოდელში სკსსს-ის განტოლებისთვის. წინა კვლევების თანახმად, ეს ცვლადი გავლენას ახდენს სკსსს-ის ექსტენსიურ სიდიდეზე, ხოლო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ინტენსიურ სიდიდეზე.

სკსსს-ის ინტენსიური სიდიდის განტოლებაში გამორიცხვის შეზღუდვის სახით ჩვენ ვიყენებთ **სუბსიდიის** ცვლადს;

ინოვაციის განტოლებაში - **ელ.ფოსტა** და **უცხოური ტექნოლოგიის** ცვლადები;

მწარმოებლურობის განტოლებაში - **ძირითადი ბაზრისა** და **მენეჯერული გამოცდილების** ცვლადებს.

3.3. ეკონომეტრიკული მოდელი

„სკსსს-ინოვაცია-მწარმოებლურობა-ექსპორტი“-ს სტრუქტურული ურთი-ერთკავშირების შესასწავლად ვიყენებთ CDM მოდელის გაფართოებულ ვერსიას.

პირველი, ვცვლით CDM ჩვეულებრივ მოდელს ახალი განტოლების შემოღებით, რაც ითვალისწინებს მწარმოებლურობის გავლენას კომპანიების საექსპორტო საქმიანობაზე.

მეორე, ყოველ მომდევნო ეტაპზე ჩვენ ვახდენთ ტესტირებას, თუ რა გავლენას ახდენს ბიზნესგარემო (რომელიც წარდგენილია რამდენიმე ზემოთ განხილული შემცვლელი ინდექსით) საქმიანობის შედეგების შესაბამის ცვლადზე.

ამრიგად, მოდიფიცირებული მოდელი მოიცავს ხუთ განტოლებას: ორი - სკსსს-თვის (II ტიპის ტობიტ მოდელი), ერთი - ინოვაციისთვის (ბინარული პრობიტ მოდელი), ერთი - შრომის მწარმოებლურობისთვის (OLS რეგრესია) და ერთი - საექსპორტო ქცევისთვის (პრობიტ მოდელი).

მიგვაჩნია, რომ ცოდნის კაპიტალში ინვესტიცია კომპანიებს უზიბდებს ინოვაციების დანერგვისკენ, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მის მწარმოებლურობაზე, ხოლო მწარმოებლურობის ამაღლება წახალისებს ფირმებს, განახორციელონ თავისი პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტი საზღვარგარეთ.

თანმიმდევრულად და ეტაპობრივად შეფასებული ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდიფიცირებული CDM მოდელი წარმოდგენილია ქვემოთ:

$$R\&D_dummy_i = 1(\alpha_1 BER_i + x_{1i}\beta_1 + \varepsilon_{i1} > 0) \quad (1)$$

$$R\&D_i = \alpha_2 BER_i + x_{2i}\beta_2 + \varepsilon_{i2} \quad (2)$$

$$Innovation_i = 1(\alpha_3 BER_i + \gamma_3 \widehat{R\&D}_i + x_{3i}\beta_3 + \varepsilon_{i3} > 0) \quad (3)$$

$$Productivity_i = \alpha_4 BER_i + \delta_4 \widehat{Innovation}_i + x_{4i}\beta_4 + \varepsilon_{i4} \quad (4)$$

$$Export_i = 1(\alpha_5 BER_i + \theta_5 \widehat{Productivity}_i + x_{5i}\beta_5 + \varepsilon_{i5} > 0) \quad (5)$$

აქ, $i = 1, \dots, n$ არის გამოკითხული ფირმების ინდექსი. $R\&D_dummy$, $R\&D$, $Innovation$, $Productivity$ და $Export$ წარმოადგენს ენდოგენურ ცვლადებს. კერძოდ, $R\&D_dummy$ - სკსსს-ის ექსტენსიური სიდიდე; $R\&D$ ნიშნავს სკსსს-ის ინტენსიურ სიდიდეს, რომელიც ასევე განიხილება როგორც ინოვაციური დანახარჯის ცვლადი; $Innovation$ ნიშნავს ინოვაციის შედეგს, რომელიც ჩანაცვლებულია (is proxied) შესაბამისი ფიქტიური ცვლადით (dummy variable); $Productivity$ - შედეგიანობის გამომავალი ცვლადი (performance output variable), რომელიც განისაზღვრება, როგორც შრომის მწარმოებლურობის ლოგარითმი (log of labor productivity); $Export$ - ფიქტიური ცვლადი პირდაპირი ექსპორტისთვის. კვლევის მთავარ ინტერესს წარმოადგენს ბიზნესგარემოს ცვლადი - ბიზნესგარემოს ინდექსი, გაანგარიშებული როგორც ფაქტორთა ქულა (a factor score). ამხსნელი ცვლადების (explanatory variables) ვექტორები აღინიშნება x_{ki} ($k = 1, \dots, 3$); β_k ($k = 1, \dots, 3$) არის პარამეტრების ვექტორი, ხოლო $\alpha_1, \alpha_2, \alpha_3, \alpha_4, \alpha_5, \gamma_3, \delta_4$, და θ_5 - შესაფასებელი პარამეტრები. შემთხვევითი შეცდომის წევრები (Random error terms), რომლებიც, სავარაუდოდ, მულტივარიაციული ნორმალურია (multivariate normal), განისაზღვრება როგორც ε_{ki} ($k = 1, \dots, 3$).

ყველა ენდოგენური და ეგზოგენური ცვლადი უფრო დეტალურად განხილულია წინა განყოფილებაში.

ზემოთ მოყვანილი მოდიფიცირებული CDM მოდელის პირველი განტოლება ხსნის სკსსს-თან დაკავშირებულ არჩევანს, ხსნის იმის ალბათობას, რომ ფირმის i -ური არჩევანი წარმოადგენს სკსსს-ში ინვესტიციას. განტოლება განსაზღვრულია როგორც პრობიტ მოდელი.

მოდელის მეორე განტოლება აღწერს სკსსს-ის ინტენსიურ სიდიდეს i ფირმისთვის და განსაზღვრულია როგორც OLS რეგრესია, რომელიც სკსსს-ის ინტენსიურ სიდიდეს უკავშირებს რიგ პოტენციურ დეტერმინანტს, მათ შორის ბიზნესგარემოს ინდექსს. სავარაუდოდ, ამ ორი განტოლების შეცდომის წევრები ε_{i1} და ε_{i2} ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან ρ_{12} კორელაციის კოეფიციენტით. ეს ორი განტოლება წარმოადგენს გენერალიზებულ (ან II ტიპის) ტობიტ მოდელს.

მოდელის მესამე განტოლება განსაზღვრულია როგორც პრობიტ რეგრესია და მოდელირებს ბიზნესგარემოს ინდექსის, სკსსს-ის ინტენსიური სიდიდის გამოთვლილი მნიშვნელობისა (მეორე განტოლებაში დამოკიდებული ცვლადი) და

ეგზოგენური ცვლადების ნაკრების ეფექტებს ფირმის არჩევანის ალბათობაზე, დანერგოს პროდუქტული ან პროცესული ინოვაცია.

მეოთხე განტოლება მოდელირებს შრომის მწარმოებლურობის ლოგარითმს როგორც ბიზნესგარემოს ინდექსის, ინოვაციის გამოთვლილი სიდიდის (მესამე განტოლებაში დამოკიდებული ცვლადია) და ეგზოგენური ცვლადების ნაკრების ფუნქციას.

ხოლო ბოლო (მეხუთე) განტოლება იყენებს პრობიტ მოდელს, რათა შეფასდეს ბიზნესგარემოს ინდექსზე, მწარმოებლურობის გამოთვლილ სიდიდესა (მეოთხე განტოლებაში დამოკიდებული ცვლადია) და საკონტროლო ცვლადების ნაკრებზე ფირმის ექსპორტისკენ მიდრეკილების დამოკიდებულება.

მას შემდეგ, რაც ბიზნესგარემოს ინდექსი გამოითვლება მაკრო დონეზე და ასახავს იმ გარემოს, რომელთანაც ინდივიდუალური ფირმა მუშაობს, ამ ცვლადთან დაკავშირებით ენდოგენურობის საკითხი შეიძლება უფრო მეტად შემცირდეს. თითოეულ განტოლებაში (გარდა უკანასკნელისა) გათვალისწინებულია გამორიცხვის ცვლადები (exclusion variables) (“ინსტრუმენტები”), რაც იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. პოტენციური, შესაძლო გადახრის გამოსასწორებლად (To correct the potential bias), რომელიც გამოწვეულია ენდოგენური ცვლადების უმრავლესობისთვის ფაქტობრივი სიდიდეების (actual values) ნაცვლად გამოთვლილი მნიშვნელობების (predicted values) გამოყენებით, ჩვენ ვიყენებთ ბუტსტრაპირებულ (Bootstrapped) სტანდარტულ შეცდომებს.

4. კვლევის შედეგები

კვლევაში ჩვენ ვაფასებთ რეკურსიული სისტემის ოთხ ალტერნატიულ მოდელს. მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ სისტემაში შეტანილი ბიზნესგარემოს ინდექსის ტიპის მიხედვით. მოდელ 1-ში გამოყენებულია ბიზნესგარემოს საერთო ინდექსი, მოდელ 2-ში - ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოს ინდექსი, მოდელ 3-ში - ინფრასტრუქტურული გარემოს ინდექსი და მოდელ 4-ში - პოლიტიკური სტაბილურობის/სამართლებრივი გარემოს ინდექსი.

სისტემის თითოეული მოდელი მოიცავს ხუთ განტოლებას: სკსს-ის არჩევანის, სკსს-ის ინტენსივობის, ინოვაციის, მწარმოებლურობისა და ექსპორტის განტოლებები.

მოდელ 1-ის შეფასების სრული შედეგები მოცემულია ცხრილში 2, ხოლო დანარჩენი მოდელების ძირითადი შედეგები შეჯამებულია ცხრილში 3.

ცხრილი 2. სტრუქტურული CDM მოდელის შეფასების საერთო შედეგები:

მოდელი 1 – ბიზნესგარემოს ინდექსი (საერთო)

ცვლადები	სკსსს არჩევანის განტოლება	სკსსს ინტენსივობის განტოლება	ინოვაციის განტოლება	მწარმოებლურობის განტოლება	ექსპორტის განტოლება
ბიზნესგარემოს ინდექსი (საერთო)	-0.393** (0.198)	-0.064 (0.042)	-0.378*** (0.136)	-0.851*** (0.214)	-0.423*** (0.060)
სკსსს	-	-	1.551*** (0.403)	-	-

ინოვაცია	-	-	-	3.045*** (0.157)	-
მწარმოებლურობა (Ln Ouput/worker)	-	-	-	-	0.612*** (0.059)
ფირმის ზომა	0.169*** (0.017)	-	0.079*** (0.016)	-0.051** (0.023)	0.155*** (0.015)
უმაღლესი განათლება	0.0044*** (0.0008)	0.0006*** (0.0002)	0.0008 (0.0007)	0.002*** (0.0007)	-0.006*** (0.0007)
ფირმის ასაკი	0.0008** (0.0003)	0.00005** (0.00002)	0.0001 (0.0001)	-0.0002 (0.0002)	0.00009 (0.0001)
უცხოური საკუთრება	0.071 (0.074)	0.013 (0.024)	0.036 (0.057)	0.261*** (0.09)	0.451*** (0.061)
სახელმწიფო საკუთრება	-0.166 (0.169)	-0.023 (0.023)	0.074 (0.115)	0.159 (0.112)	-0.053 (0.123)
ახალი	0.076 (0.062)	0.016 (0.014)	0.126*** (0.045)	0.049 (0.062)	-0.093* (0.051)
კონკურენცია	-0.012 (0.023)	0.006 (0.005)	-0.106*** (0.016)	0.013 (0.024)	0.229*** (0.021)
სუბსიდიები	0.368*** (0.062)	0.085** (0.028)	-	-	-
უცხოური ტექნოლოგიები	-	-	0.448*** (0.043)	-	-0.047 (0.060)
ელ.ფოსტა	-	-	0.409*** (0.058)	-	0.497*** (0.087)
მენეჯერული გამოცდილება	-	-	-	-0.001 (0.002)	-
ძირითადი ბაზარი (საერთაშორისო)	-	-	-	-0.086 (0.112)	-
Inverse Mills ratio	-	-0.131*** (0.031)	-	-	-
ქვეყნის ცვლადი (ფიქტიური ცვლადი)	კო	კო	კო	არა	არა
ინდუსტრიის/ დარგის ცვლადი (ფიქტიური ცვლადი)	კო	კო	კო	კო	კო
დაკვირვებების რაოდენობა	9,380	9,380	9,318	9,139	9,131
Wald χ^2	642.2*** (54)	-	1110.2*** (56)	-	1337.7***
Pseudo R-sq.	0.151	-	0.118	-	0.2235
R-sq.	-	0.079	-	0.091	-
F-statistic	-	8.81*** (54; 9,325)	-	35.7*** (31; 9,107)	-
Root MSE	-	0.48	-	2.0875	-
შენიშვნა: ბუტსტრაპირებული (Bootstrapped) სტანდარტული შეცდომები მოთავსებულია ფრჩხილებში;					

*** - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p < 0.01$ დონეზე; ** - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p < 0.05$ დონეზე; * - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p < 0.1$ დონეზე.

ცხრილი 3. სტრუქტურული CDM-ის შეფასების ძირითადი შედეგები
ალტერნატიული მოდელებისთვის

ცვლადები	სკსს არჩევანის განტო- ლება	სკსს ინტენსივო- ბის განტოლება	ინოვაცი- ის განტო- ლება	მწარმოებლურობის განტოლება	ექსპორტის განტო- ლება
მოდელი 2: ბიზნესგარემოს ინდექსი (ბიზნესის / ეკონომიკური მარეგულირებელი გარემო)					
ბიზნესგარემოს ინდექსი (ბიზნესის/ ეკონომიკური მარეგულირებელი გარემო)	-0.335* (0.188)	-0.044 (0.034)	-0.323*** (0.121)	-0.911*** (0.148)	-1.573*** (0.117)
სკსს	-	-	1.541*** (0.403)	-	-
ინოვაცია	-	-	-	3.468*** (0.157)	-
მწარმოებლურობა (Ln Output/worker)	-	-	-	-	0.658*** (0.050)
მოდელი 3: ბიზნესგარემოს ინდექსი (ინფრასტრუქტურული გარემო)					
ბიზნესგარემოს ინდექსი (ინფრასტრუქტურული გარემო)	- 0.235** (0.118)	-0.027 (0.023)	-0.241*** (0.081)	-0.655*** (0.135)	-0.948*** (0.114)
სკსს	-	-	1.553*** (0.403)	-	-
ინოვაცია	-	-	-	2.993*** (0.155)	-
მწარმოებლურობა (Ln Output/worker)	-	-	-	-	0.542*** (0.050)
მოდელი 4: ბიზნესგარემოს ინდექსი (პოლიტიკური სტაბილურობის / სამართლებრივი გარემო)					
ბიზნესგარემოს ინდექსი (პოლიტიკური სტაბილურობის/ სამართლებრივი გარემო)	-0.166 (0.104)	-0.033 (0.026)	-0.096 (0.075)	-1.141*** (0.161)	-0.827*** (0.115)
სკსს	-	-	1.534*** (0.404)	-	-
ინოვაცია	-	-	-	2.755*** (0.162)	-
მწარმოებლურობა	-	-	-	-	0.390***

(Ln Output/worker)					(0.045)
შენიშვნა: ბუტსტრაპირებული (Bootstrapped) სტანდარტული შეცდომები მოთავსებულია ფრჩხილებში;					
*** - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p < 0.01$ დონეზე; ** - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p < 0.05$ დონეზე; * - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p < 0.1$ დონეზე.					

სკსსს-ის ექსტენსიური სიდიდის განტოლება. სკსსს-თან დაკავშირებული არჩევანის განტოლების შეფასებები უზრუნველყოფს სკსსს-ის ექსტენსიურ სიდიდეზე ბიზნესგარემოს გავლენასთან დაკავშირებული ჰიპოთეზის ძლიერ მხარდაჭერას. კერძოდ, H1 ჰიპოთეზა დადასტურებულია პირველ სამ მოდელში (მოდელ 2-ში, ბიზნესგარემოს საერთო ინდექსის გავლენა სკსსს-ში ინვესტიციისკენ მიდრეკილებაზე სტატისტიკურად მხოლოდ 10%-იან დონეზე არის მნიშვნელოვანი). კვლევის შედეგების თანახმად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფირმების სკსსს-ში ინვესტიციის სურვილის ძირითადი გარე მამოძრავებელი არის საერთო ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ასევე ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოსა და ინფრასტრუქტურული გარემოს მკაცრი რეფორმები. ორივე ინდექსის გავლენა "ინოვაციურ დანახარჯებზე" პრაქტიკულად იმავე სიძლიერისაა, თუმცა ამ კვლევაში ჩვენ ვერ ვნახეთ ფირმის სკსსს-ის ექსტენსიურ სიდიდეზე პოლიტიკური სტაბილურობის/სამართლებრივი გარემოს ინდექსის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა.

განტოლების სხვა ცვლადებმა ზოგადად აჩვენა მოსალოდნელი და მსგავსი სურათი მოდელების მიხედვით. ინოვაციების მიმართ შუამჭეტერიული მიდგომის შესაბამისად, ჩვენ აღმოვაჩინეთ ფირმის ზომის მნიშვნელოვანი და პოზიტიური გავლენა სკსსს-ში ინვესტიციის მიდრეკილებაზე. ასევე, ჩვენი მოლოდინის შესაბამისად, სუბსიდიებისა და უმაღლესი მენეჯმენტის განათლების უმაღლესი დონის არსებობას, ფირმის ასაკს აქვს პოზიტიური და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა სკსსს-ის ექსტენსიურ სიდიდეზე.

სკსსს-ის ინტენსიური სიდიდის განტოლება. ამის საპირისპიროდ, "ინოვაციური დანახარჯების" განტოლების შეფასების შედეგები არ უზრუნველყოფს H2 ჰიპოთეზის მხარდაჭერას სკსსს-ის ინტენსიურ ზღვარზე ბიზნესგარემოს გავლენასთან დაკავშირებით. ოთხივე მოდელში ვერ აღმოვაჩინეთ ბიზნესგარემოს ინდექსის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა სკსსს-ის ინტენსივობაზე. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკეთესი ბიზნესგარემო სტიმულს აძლევს ფირმებს, მიიღონ გადაწყვეტილებები სკსსს-ში ინვესტიციების ჩასადებად, ხოლო ამას არანაირი გავლენა არ აქვს ინვესტიციის მოცულობის ჩადებაზე. წინა განტოლების მსგავსად კონტროლის ნაკრებმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა სკსსს-ის ინტენსივობაზე.

ინოვაციის განტოლება. სკსსს-ის განტოლების მსგავსად, "ინოვაციური განტოლების" შეფასების შედეგები პირველი სამი მოდელისთვის უზრუნველყოფს H3 ჰიპოთეზის ძლიერ მხარდაჭერას. კერძოდ, ამ შეფასებების თანახმად, გაუმჯობესებულია ბიზნესგარემოს საერთო ინდექსი, აგრეთვე ბიზნესის / ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოსა და ინფრასტრუქტურული გარემოს ინდექსები მნიშვნელოვნად ზრდის ინოვაციის შედეგებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფირმებისთვის. ყველა ამ ინდექსის ეფექტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-ის დონეზე. ბიზნესის/ეკონომიკურ მარეგულირებელ გარემოში შესაბამისი რეფორ-

მები, სხვა ინდექსებთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინოვაციაზე. წინა ეტაპზე მიღებული შეფასების მსგავსად, ჩვენ ვერ ვიპოვეთ ინოვაციის ინტენსივობაზე პოლიტიკური სტაბილურობის/სამართლებრივი გარემოს ინდექსის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა. გარდა ამისა, წინა ემპირიული კვლევების შესაბამისად, ჩვენ გამოვავლინეთ სკსსს-ის ინტენსივობის პოზიტიური და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ინოვაციური შედეგის ცვლადზე მოდელების მიხედვით. ამრიგად, H6 ჰიპოთეზა იყო დადასტურებული ოთხივე მოდელში. ასეთ შედეგებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ბიზნესგარემოს შესაბამისი ინდექსები ინოვაციაზე ახდენს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ გავლენას. ინოვაციის სხვა მნიშვნელოვანი პრედიქტორებია ფირმის ზომა, ახალი ფირმა, კონკურენცია, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით კომუნიკაციები და უცხოური ტექნოლოგიების გამოყენება.

მწარმოებლურობის განტოლება. მე-2 და მე-3 ცხრილების მონაცემების თანახმად, ჰიპოთეზა H4 სრულად არის მხარდაჭერილი ყველა მოდელში. კერძოდ, მოდელების შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ შესაბამისი ბიზნესგარემოს ინდექსები გარდამავალ ეკონომიკაში ინდივიდუალური ფირმის მწარმოებლურობის მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს. ყველა ამ ინდექსის ეფექტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მინიმუმ, 1%-ის დონეზე. პოლიტიკური სტაბილურობის/იურიდიული გარემოს ინდექსი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობის ცვლადზე, რასაც მოჰყვება ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოს ინდექსის ეფექტი. როგორც მოსალოდნელი იყო, ინოვაცია, როგორც ჩანს, ფირმის მწარმოებლურობის ძირითადი მამოძრავებელია. ინოვაციის უფრო მაღალი ინტენსივობა იწვევს მწარმოებლურობის უკეთეს შედეგიანობას. ამრიგად, წინა კვლევების მიგნებების შესაბამისად, H7 ჰიპოთეზა მტკიცედ არის მხარდაჭერილი ოთხივე მოდელში. შრომის მწარმოებლურობის სხვა მნიშვნელოვანი პრედიქტორებია ფირმის ზომა, ადამიანისეული კაპიტალი და უცხოური საკუთრება.

ექსპორტის განტოლება. ანალოგიურად, ჰიპოთეზა H5 მხარდაჭერილია ოთხივე მოდელში, ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოს ინდექსს ყველაზე დიდი გავლენა აქვს ფირმების მიდრეკილებაზე, პროდუქცია გაიტანონ ექსპორტზე. ბიზნესგარემოს შესაბამისი ინდექსების ყველა ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p < 0.01$ -ის დონეზე. არსებული თეორიული და ემპირიული მტკიცებულებების შესაბამისად, ჩვენ აღმოვაჩინეთ კომპანიის საექსპორტო საქმიანობაზე მწარმოებლურობის გავლენასთან დაკავშირებული H8 ჰიპოთეზის ძლიერი მხარდაჭერა. ექსპორტისკენ მიდრეკილების სხვა მნიშვნელოვანი პრედიქტორებია ფირმის ზომა, ადამიანისეული კაპიტალი, უცხოური საკუთრება, ახალი ფირმა, კონკურენცია და კომუნიკაციები ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

5. დასკვნა

კვლევაში შესწავლილია გარდამავალი ეკონომიკების პირობებში მოქმედი ბიზნესგარემოს როლი ისეთი ფაქტორების გაძლერებაში, როგორიცაა: სკსსს, ინოვაცია, შრომის მწარმოებლურობა და ფირმის საექსპორტო საქმიანობა.

გარდამავალი ეკონომიკის 28 ქვეყანაში 2012-2014 წლებში ჩატარებული ე.წ. BEEPS-ის მე-5 რაუნდის ფირმის (მიკრო) დონის მონაცემებზე დაყრდნობით და გაფართოებული ეკონომეტრიკული CDM მოდელის გამოყენებით, კვლევის ფარგ-

ლებში განხორციელდა სტრუქტურული კავშირების შეფასება ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა: ბიზნესგარემო, ინოვაციური ქცევა, მწარმოებლურობა და ექსპორტი.

ჩვენი ეკონომეტრიკული შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ ბიზნესგარემო წარმოადგენს გარდამავალ ეკონომიკურ ქვეყნებში ფირმის ინოვაციური და მწარმოებლურობა საქმიანობის მნიშვნელოვან გარე დეტერმინანტს. ამრიგად, ზოგადად დადასტურებულია კვლევის ჰიპოთეზები ბიზნესგარემოს რეფორმებსა და ფირმის საქმიანობის შედეგიანობას შორის, როგორიცაა სკსსს-ი და ინოვაცია, შრომის მწარმოებლურობა და ექსპორტისკენ მიდრეკილება. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უკეთესი ბიზნესგარემო სტიმულს აძლევს ფირმებს, მიიღონ გადაწყვეტილებები სკსსს-ში ინვესტიციების ჩადების შესახებ, ხოლო მას გავლენა არ აქვს სკსსს-ის ინტენსიურ სიდიდეზე. ამასთან, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ფირმის საქმიანობაზე გავლენის სქემა განსხვავდება ბიზნესგარემოს სხვადასხვა საზომების მიხედვით. ერთ-ერთი სქემა გულისხმობს ბიზნესგარემოს ორმაგ ეფექტს ექსპორტისკენ მიდრეკილებაზე: ირიბად - კომპანიის სკსსს-ისა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით; და პირდაპირი გზით - სავარაუდოდ, ტრანსაქციული და ბიზნესკეთების ხარჯების შემცირებით და მმართველობითი სტრუქტურების გაუმჯობესებით. ზემოქმედების ასეთი სქემა დამახასიათებელია ბიზნესგარემოს საერთო ინდექსისა და ბიზნესის/ეკონომიკური მარეგულირებელი გარემოს ინდექსისთვის. მიმდინარე კვლევის თანახმად, პოლიტიკური სტაბილურობის/იურიდიულ გარემოში განხორციელებული რეფორმები გავლენას არ ახდენს სკსსს-სა და ფირმების ინოვაციურ საქმიანობაზე, მაგრამ ის მნიშვნელოვანია კომპანიის მწარმოებლურობის ასამაღლებლად. ასევე, ჩვენი კვლევის შედეგები მხარს უჭერს ადრეულ დასკვნებს, რომ სკსსს ინოვაციის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია, ინოვაცია შრომის მწარმოებლურობის მამოძრავებელია, ხოლო შრომის მწარმოებლურობა მნიშვნელოვნად ზრდის საექსპორტო ბაზრებზე ფირმის მონაწილეობის ალბათობას.

ამ კვლევის მთავარი წვლილი ის არის, რომ წარდგენილია ახალი ემპირიული შეხედულება სტრუქტურული კავშირის მიმართ, რომელიც არსებობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედი ფირმების დონეზე ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა: ბიზნესგარემო და ინოვაცია, მწარმოებლურობა და ექსპორტი. ზოგადად, წარმოდგენილია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ბიზნესგარემო, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნაში ინვესტიციების განხორციელებისა და ინოვაციური აქტივობების სტიმულირებას, მწარმოებლურობის ამაღლებასა და ექსპორტის წახალისებას, ფირმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კვლევის მთავარი შეზღუდვაა ის, რომ გამოყენებულია ზოგადად ბიზნესგარემოს მხოლოდ ერთი შემცვლელი ცვლადი (proxy) - აგრეგირებული ფაქტორი, რომელიც ემყარება ბიზნესკეთების დაბრკოლებების სუბიექტურ აღქმას. მომავალმა კვლევებმა შეიძლება გამოიყენონ ინდივიდუალური ცვლადები და დაეყრდნონ ბიზნესგარემოს ობიექტურ მაჩვენებლებს. ამგვარ მიდგომას შეუძლია გააუმჯობესოს ბიზნესგარემოსა და ფირმის საქმიანობის შედეგიანობას შორის კავშირის კონკრეტიზაცია და ინტერპრეტაცია და არსებითად ხელი შეუწყოს პოლიტიკისა და რეფორმების მიზანმიმართულების დასახვას. ასევე, აღსანიშნავია, რომ მოცემულ კვლევაში გამოყენებულ მონაცემთა ჯვარედინი (cross-sectional) ხასიათი ზღუდავს დინამიკური ურთიერთობების გაგებას ისეთ ფაქტორებს შორის,

როგორიცაა: ბიზნესგარემო, სკსს, ინოვაციები, მწარმოებლურობა და ექსპორტი. ვფიქრობთ, რომ პანელის მონაცემთა გამოყენება მკვლევარებს ამ საკითხის უკეთ გარკვევაში დაეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Antonietti, Roberto and Giulio Cainelli (2011). “The Role of Spatial Agglomeration in a Structural Model of Innovation, Productivity and Export: A Firm-Level Analysis.” *Annual Regional Science*, vol. 46, pp. 577–600.
2. Arnold, J. M., Mattoo, A. & Narciso, G. (2008). “Services inputs and firm productivity in Sub-Saharan Africa: Evidence from firm-level data.” *Journal of African Economies*, Centre for the Study of African Economies (CSAE), 17(4), 578-599.
3. Arnold, J.M., Javorcik, B. and Mattoo, A. (2011). “Does services liberalization benefit manufacturing firms: evidence from the Czech Republic.” *Journal of International Economics* Vol. 85 (1), 136-146.
4. Bernard, A. B. and J. B. Jensen (1999). “Exceptional Exporter Performance: Cause, Effect, or Both?” *Journal of International Economics*, 47, 1, pp. 1–25.
5. Bernard, A. B. and J. Wagner (1997). “Exports and Success in German Manufacturing.” *Review of World Economics*, 133, 1, pp.134–57.
6. Berulava G. (2011). “Services Inputs and Export Performance of Manufacturing Firms in Transition Economies.” *EERC Working paper Series №11/17e*, 23 p.
7. Berulava G. (2012). “The Impact of Services Sector on Export Performance of Manufacturing Firms in Transition Economies.” *Moambe, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, vol.6, n.3, pp. 154-162.
8. Berulava, G., & Gogokhia, T. (2016). “On the role of in-house R&D and external knowledge acquisition in firm’s choice for innovation strategy: Evidence from transition economies.” *Moambe, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 10 (3), 150-158.
9. Berulava, G., & Gogokhia, T. (2018). “Complementarities of Innovation Strategies: Evidence from Transition Economies.” In: Bilgin M., Danis H., Demir E., Can U. (eds) *Eurasian Economic Perspectives. Eurasian Studies in Business and Economics*, vol 8/2. Springer, Cham, 169-192, https://doi.org/10.1007/978-3-319-67916-7_11.
10. Carlin, W., & Seabright, P. (2009). “Bring me sunshine: Which parts of the business climate should public policy try to fix?” In: *Proceedings of the Annual Bank Conference on Development Economics 2008*, Washington D.C.: World Bank, 2009.
11. Clarke, George R. G. (2005). “Beyond Tariff and Quotas: Why Don’t African Manufacturing Enterprises Export More?” *World Bank Policy Research Working Paper* no. WPS3617.
12. Crepon, B., Duguet, E., & Mairesse, J. (1998). “Research, innovation and productivity: An econometric analysis at the firm level”. *Economics of Innovation and New Technology*, 7(2), 115-158.
13. Disoska Elena Makrevska, Dragan Tevdovski, Katerina Toshevska-Trpchevska & Viktor Stojkoski (2018). “Evidence of innovation performance in the period of economic recovery in Europe”. *Innovation: The European Journal of Social Science Research*, DOI: 10.1080/13511610.2018.1524288.
14. Dollar, D., Hallward-Driemeier, M., & Mengistae, T. (2005). “Investment Climate and Firm Performance in Developing Economies”. *Economic Development and Cultural Change*, 54(1), 1–31. <https://doi.org/10.1086/431262>.
15. EBRD (2014). *EBRD Transition report 2014: Innovation in transition*. European Bank for Reconstruction and Development. Available at: <http://www.ebrd.com/downloads/research/transition/tr14.pdf>. Accessed 20 June 2019.

16. Escribano, A. and Guasch, J.L. (2005). “Assessing the Impact of the Investment Climate on Productivity Using Firm-Level Data: Methodology and the Cases of Guatemala, Honduras, and Nicaragua.” *World Bank Policy Research Working Paper* 3621, June 2005.
17. Fernandes A. M and C. Paunov, (2008) “Foreign Direct Investment in Services and Manufacturing Productivity Growth: Evidence for Chile.” *The World Bank, Policy Research Working Paper* 4730.
18. Friesenbichler, K., & Peneder, M. R. (2016). “Innovation, competition and productivity: Firm-level evidence for Eastern Europe and Central Asia”. *Economics of Transition*, 24 (3), 535-580. <http://dx.doi.org/10.1111/ecot.12100>.
19. Gogokhia T. and G. Berulava (2020). “Business environment reforms, innovation and firm productivity in transition economies.” *Eurasian Business Review*, Springer. <https://doi.org/10.1007/s40821-020-00167-5>.
20. Griffith, R., Huergo, E., Mairesse, J. & Peters, B. (2006). “Innovation and productivity across four European countries”. *Oxford Review of Economic Policy*, 22(4),483-498.
21. Griliches, Z. (1979). “Issues in assessing the contribution of research and development to productivity growth”. *Bell Journal of Economics*, 10(1), 92-116.
22. Hall, B., & Mairesse, J. (2006). “Empirical studies of innovation in the knowledge driven economy: An introduction”. *Economics of Innovation and New Technology*, 15 (4/5), 289-299.
23. Iwanow, T., & Kirkpatrick, C. (2008). “Trade facilitation and manufactured exports: Is Africa different?” *World Development*, 37(6),1039-50.
24. Loof, H., Heshmati, A., Apslund, R., & Naas, S-O. (2003). “Innovation and performance in manufacturing industries: A comparison of the Nordic countries”. *International Journal of Management Research*, 2, 5-36.
25. Mairesse, J., & Robin, S. (2009). “Innovation and productivity: A firm-level analysis for French Manufacturing and Services (1998-2000 and 2002-2004)”. *Mimeo*, CREST-ENSAE, Paris. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.462.3919&rep=rep1&type=pdf>. Accessed 20 May 2019.
26. Masso, J., & Vahter, P. (2012). “The link between innovation and productivity in Estonia’s services sector”. *The Service Industries Journal*, 32(16), 2527–2541.
27. Melitz, M.J., (2003). “The Impact of Trade on Intra-Industry Reallocations and Aggregate Industry Productivity,” *Econometrica*, 71, pp. 1695-1725.
28. Pakes, A., & Griliches, Z. (1980). “Patents and R&D at the firm level: A first report.” *Economics Letter*, 5, 377-381.
29. Plane, P., & Véganzones-Varoudakis, M.-A. (2019). “Innovation, productivity, exports and the investment climate: A study based on Indian manufacturing firm-level data”. *Applied Economics*, 51 (41), 4445-4476, <https://doi.org/10.1080/00036846.2019.1591606>.
30. Rialp-Criado, A., & Komochkova, K. (2017). “Innovation strategy and export intensity of Chinese SMEs: the moderating role of the home-country business environment”. *Asian Business & Management*, 16(3), 158–186, <https://doi.org/10.1057/s41291-017-0018-2>
31. Toshevska-Trpchevska, K., Disoska, E., Tevdovski, D., & Stojkoski, V. (2019). “The Impact of a Crisis on the Innovation Systems in Europe: Evidence from the CIS10 Innovation Survey”. *European Review*, 27(4), 543-562. doi:10.1017/S1062798719000218
32. Véganzones-Varoudakis, M. A., & Nguyen, H. T. M. (2018). “Investment climate, outward orientation and manufacturing firm productivity: New empirical evidence”. *Applied Economics*, 1–29. <https://doi.org/10.1080/00036846.2018.1488065>.
33. Wagner Joachim (2007). “Exports and Productivity: A Survey of the Evidence from Firm-level Data.” *The World Economy*, pp.60-83.

George Berulava

*Doctor of economic sciences, Head of Department
of Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*

Teimuraz Gogokhia

PhD in Business Administration

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Berulava.Gogokhia

THE IMPACT OF BUSINESS ENVIRONMENT ON THE STRUCTURAL LINK BETWEEN FIRMS' INNOVATION, PRODUCTIVITY AND EXPORT PERFORMANCE IN TRANSITION ECONOMIES⁷

Expanded Summary

Innovation, productivity growth and exporting are important economic factors that many consider crucial to the economic development and enhancing living standards. The worldwide experience provides plenty evidence that innovation and export promotions are important components of the growth strategy in emerging markets. Discussions of factors that determine success of innovation and export performance have been ongoing for many years. Both the factors that are under the firm control and external factors have been studied extensively in the academic literature. However, the role of business environment as one of the external factors in promoting innovation, productivity and export performance of companies as well as the structural interrelationships between these factors remained relatively unstudied. This paper focuses on the role of the business environment in influencing innovation, productivity, and export performance of firms in transition economies.

In this study as a proxy for business environment we use we adopt a business environment reforms (BER) index from Gogokhia and Berulava (2020) study. The index has been calculated as the difference between subjective evaluations of business environment constraints for innovator and non-innovator firms aggregated (by country and size of locality). Various dimension of business environment are captured by the following BER indexes: the total index, the business/economic regulatory environment index, the infrastructural environment index and the political stability/legal environment index. The lower the value of the index, the better the environment for the innovative and productive activities of firms.

Rest upon the findings from the existing literature, we specify our expectations in the following research hypotheses:

- H1. The lower the business environment reforms index, the higher a firm's extensive margin of R&D.
- H2. The lower the business environment reforms index, the higher the intensity of R&D activity of a firm.
- H3. The lower the business environment reforms index, the higher the probability that a firm is engaged in the innovation activity.
- H4. The lower the business environment reforms index, the higher the level of the labor productivity of a firm.

⁷ This research was supported by „Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia“ („SRNSFG“) [grant number №YS-18-1304].

- H5. The lower the business environment reforms index, the higher the export propensity of a firm.
- H6. R&D has positive and significant impact on innovations.
- H7. Innovation has a positive and significant impact on a firm’s productivity.
- H8. Labor productivity of the firm has a positive and significant impact on its export propensity.

To attain the research goal, we apply an augmented CDM model (Crepon, Duguet, and Mairesse, 1998). The model includes five equations - R&D decision equation; R&D intensity equation, Innovation equation, productivity equation, and export equation - and is estimated sequentially or step-by-step. We test the effects of business environment reforms at each stage of the R&D-innovation-productivity-exporting structural link, by including the BER index in each of the consequent equations of the structural model.

The main source of the data for the research is the micro-level dataset from the fifth round of the Business Environment and Enterprise Performance Survey (BEEPS V).⁸ The survey was conducted by the European Bank for Reconstruction and Development (EBRD) and the World Bank Group (World Bank) in the European and Central Asian region in the period of 2012-2014.

The results of our estimations suggest that business environment reforms represent an important external determinant of a firm’s innovative and productive performance in transition economies. Thus, the research hypotheses on the link between business environment reforms and a firm’s performance outcomes such as R&D and innovation, labor productivity as well as propensity to export, are generally proven. The results of the study suggest that better business environment stimulates firms to make decisions about investing in R&D, while it has no effect on the intensive margin of R&D. However, the study’s outcomes show that the patterns of the influence on a firm’s performance differs across the various dimensions of the business environment. One of the patterns assumes a two-fold effect of business environment reforms on propensity to export: indirect through stimulating a firm’s R&D and innovation performance, enhancing labor productivity and direct, probably through reducing transaction costs and the costs of doing business and enhancing governance structures. Such a pattern of the impact is characteristic for the total BER index and the business/economic regulatory environment reforms index. The reforms in the Political/ Legal environment, according to the current research, have no effect on R&D and the innovative activities of firms but they are important for enhancing a firm’s productivity. Also, the results of our study support early findings that R&D is an important determinant of innovation, innovation is a driver of labor productivity and that labor productivity substantially increases the probability of firm’s participation at export markets.

The main contribution of this study is that it provides new empirical insights into the structural relationship between business environment reforms and the innovation, productivity and export performance of firms in transition economies. The study’s results, generally, imply that business environment reforms, providing incentives for investing in knowledge, innovation activity and productivity enhancement in transition economies represents an important factor for a firm’s development.

⁸ <https://www.enterprisesurveys.org/>

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

ზურაბ გარაყანიძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Garakanidze

პანდემიის დროს აგფლაციის მაჩვენებლის გაანგარიშების აუცილებლობის შესახებ

ანოტაცია. ეკონომიკური უსაფრთხოების მეკლუეარები სასურსათო კრიზისების დროს სურსათის გაძვირებით გამოწვეულ „მშიერ ამბოხებას“ პროტესტის ყველაზე საშიშ ფორმად მიიჩნევენ. ამგვარი საპროტესტო გამოსვლები, როგორც წესი, ანტისამთავრობო ხასიათისაა და შეიძლება გამოწვეული იყოს იმედგაცრუებით მთავრობის მიერ კრიზისის დასაძლევად გადადგმული ნაბიჯებისგან. გარდა ამისა, სამომავლო სასურსათო კრიზისებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დაძაბულობის მიზეზი არა მხოლოდ და არა იმდენად მოხმარებული საკვების რაოდენობაა ერთ სულზე, არამედ დედამიწის საშუალო მკვიდრისთვის ხელმისაწვდომი საკვების ხარისხია.

მსოფლიო მასშტაბით „მშიერი ამბოხების“ მონიტორინგისთვის მსოფლიო ბანკმა შექმნა სპეციალური ქვედანაყოფი „სასურსათო ამბოხების რადარი“ (Food Riot Radar). ამ ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წლიდან 2014 წლამდე მსოფლიოში 110 „მშიერი ამბოხება“ მოხდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია სურსათის ფასის მუდმივი მონიტორინგი, რაც არა ზოგადად სამთავრობო ეკონომიკური გუნდის, არამედ კონკრეტულად სტატისტიკის უწყების ამოცანად უნდა იქცეს. 2020 წლის დეკემბერში „საქსტატის“ მიერ ინიცირებულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ ახალი კანონი, რომლის შემუშავებისას აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების რისკების, გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინება.

ამ კუთხით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საინტერესო ღონისძიებას ატარებს. კერძოდ, სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტში სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამსახურებიდან ყოველდღიურად ხდება სურსათის ფასების ცხრილების ანალიზი. სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ყველაზე ოპერატიულად - ფაქტიურად ყოველდღიურად, გვაძლევს ნებისმიერ მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის სრულ სურათს, რაც სამინისტროს მისცემს საშუალებას გამოავლინოს ყველაზე მოწყვლადი რეგიონები და იქით მიმართოს საბიუჯეტო სუბსიდირება, ან ჩართოს მეტი ადგილობრივი ფერმერი სახელმწიფო პროგრამებში. რეგიონებიდან ფასების და მოხმარების მოცულობების ინფორმაციის უნიფიკაციისათვის IT სამსახურმა უნდა შეიმუშაოს უნიფიცირებული კომპიუტერული პროგრამა „ექსელის“ ფორმა, რომელშიც „ჩაშენდება“ ზემოაღნიშნული ფორმულა, პანდემიის დაწყების დროს არსებული საბაზისო მაჩვენებლებით, და ადგილზე თანამშრომელი მხოლოდ მიმდინარე პერიოდის ფასებისა და რეალიზაციის მონაცემებს შეიტანს. „ექსელი“ მომენტალურად დაიანგარიშებს და გამოაჩენს პანდემიის დაწყებიდან დღემდე აგფლაციის მაჩვენებელს და მის დინამიკას მოცემულ მხარეში ან მუნიციპალიტეტში.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მონიტორინგი, პანდემია, აგფლაცია.

შესავალი

ქვეყანაში ბოლო პერიოდში შეინიშნება სურსათის ფასების რყევა, რაც პანდემიის შედეგად გამწვავდა და უკვე სასურსათო კრიზისის სახე მიიღო. სასურსათო კრიზისი ისტორიულად ხშირად ყოფილა პოლიტიკური არეულობის მიზეზი. გლობალურ დონეზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო სასურსათო ფასების ინფლაციასთან - აგფლაციასთან და მის უარყოფით შედეგებთან ბრძოლის მექანიზმების შექმნა. მიუხედავად ამ ზომებისა და ე.წ. „მწვანე რევოლუციის“, სურსათის ფასები ამ საუკუნის დასაწყისიდან იზრდება. შედეგად, უკვე 2010–2012 წწ. დაიწყო პოლიტიკური არასტაბილურობის ტალღა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რაც 2011 წლის “არაბული გაზაფხულის” ერთ-ერთ მიზეზად მოგვევლინა. მეტიც, „კოვიდ19“-ის მსოფლიო პანდემიის პირობებში, 2020 წლის დასაწყისიდან დღემდე, ასევე შეინიშნება მარცვლეულის, ხორცის, ხეთის და სხვა პროდუქტების ფასების რყევა.

სასურსათო კრიზისები ბუნებრივი პროცესია როგორც მთელი ბიოსფეროსთვის, ასევე მასში მცხოვრები კაცობრიობისთვის. ისტორიის განმავლობაში შიმშილობისა და თანმდევი კრიზისების (პოლიტიკური და სოციალური) პერიოდები საკმაოდ ხშირია. გლობალური მმართველობის ინსტიტუტების განვითარებამ და მსოფლიო მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემების სირთულისა და მნიშვნელობის გაცნობიერებამ, ხელი შეუწყო "სასურსათო უსაფრთხოების" კონცეფციის განვითარებას და მის ფართო გამოყენებას როგორც გლობალური მასშტაბით, ისე ცალკეული სახელმწიფოების დონეზე. ამ პროცესების დაწყებას, თავის მხრივ, სტიმული მისცა მარცვლეულის კრიზისების სერიამ, რომელთაგან 1970-იან წლებში ჰქონდა ადგილი. ამ პროცესებმა გამოაშკარავა უფსკრული განვითარებულ ქვეყნებში სურსათის მომარაგების დონესა და ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს შორის. აღნიშნული სირთულეების დასაძლევად გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) 1974 წელს შეიმუშავა სასურსათო უსაფრთხოების გლობალური კონცეფცია. ის FAO-ს სასურსათო კონფერენციას წარედგინა რომში, სადაც ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს. ამ დოკუმენტით, ანუ FAO-ს განმარტებით, სასურსათო უსაფრთხოება ადამიანის შესაძლებლობაა, ჰქონდეს საკმარისი უსაფრთხო და ხარისხიანი საკვები, რათა მან იცხოვროს ჯანმრთელად.

ამ საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნა შემდეგი პარადოქსი: მოწინავე ტექნოლოგიების წყალობით, საკვების ძირითადი კულტურების მოსავლიანობა გაიზარდა, ხოლო კლიმატის რყევებზე დამოკიდებულება შემცირდა. ამავდროულად, მსოფლიო სურსათის ბაზრებზე კრიზისის წლებში შეინიშნებოდა ფასების აშკარა ზრდა, რაც მეტად ამძიმებს ისედაც რთულ სოციალურ ფონს მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებში, რომლებიც განიცდნენ როგორც ჭარბ მოსახლეობას, ისე საკვების დეფიციტს. FAO-ს დოკს (კატარი) 2001 წლის სამიტმა აჩვენა, რომ სურსათის პრობლემების მოგვარება გლობალურ დონეზე გართულებულია. ამ შეხვედრაზე განვითარებადმა ქვეყნებმა მხარი არ დაუჭირეს შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეფციას, რომელიც დაფუძნებული იყო მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე. ამით მათი პოზიცია უფრო პროტექციონიზმისკენ გადაიხარა, რაც სასურ-

სათო უსაფრთხოებიდან სასურსათო სუვერენიტეტისკენ გადახრას ნიშნავდა. გლობალურად დღეს უკვე არსებობს სერიოზული შეშფოთება იმის თაობაზე, რომ პლანეტის მთლიანი აგროსასურსათო სისტემა ვერ შეძლებს 9 მილიარდი ადამიანის სრულად გამოკვებას. ამის მიუხედავად, მეცნიერები ეძებენ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარის "მწვანე რევოლუციის" მსგავს ახალ გადაწყვეტილებებს, რომელთაგან უმთავრესი შეიძლება ე.წ. მდგრადი განვითარება იყოს. მკვლევარები სასურსათო კრიზისების დროს სურსათის გაძვირებით გამოწვეულ „მშიერ ამბოხებას“ პროტესტის ყველაზე საშიშ ფორმად მიიჩნევენ. ამგვარი საპროტესტო გამოსვლები, როგორც წესი, ანტისამთავრობო ხასიათისაა და შეიძლება გამოწვეული იყოს იმედგაცრუებით მთავრობის მიერ კრიზისის დასაძლევად გადადგმული ნაბიჯებისგან. გარდა ამისა, სამომავლო სასურსათო კრიზისებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დამაბულობის მიზეზი არა მხოლოდ და არა იმდენად მოხმარებული საკვების რაოდენობაა ერთ სულზე, არამედ დედამიწის საშუალო მკვიდრისთვის ხელმისაწვდომი საკვების ხარისხია. მსოფლიო მასშტაბით „მშიერი ამბოხების“ მონიტორინგისთვის მსოფლიო ბანკმა შექმნა სპეციალური ქვედანაყოფი „სასურსათო ამბოხების რადარი“ (*Food Riot Radar*) [1]. ამ ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წლიდან 2014 წლამდე მსოფლიოში 110 „მშიერი ამბოხება“ მოხდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია სურსათის ფასის მუდმივი მონიტორინგი, რაც არა ზოგადად სამთავრობო ეკონომიკური გუნდის, არამედ კონკრეტულად სტატისტიკის უწყების ამოცანად უნდა იქცეს.

* * *

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - „საქსტატის“ მიერ ინიცირებულ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ ახალი კანონის III თავის (სტატისტიკის ეროვნული სისტემის სტრუქტურა) მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის თანახმად **სტატისტიკის ეროვნული სისტემა** შედგება „საქსტატის“, ეროვნული ბანკის და სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოებისგან, სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის შესაბამისად. ამ სამუშაო პროგრამის მე-2 მუხლით („ფასების სტატისტიკა“) ხდება სამომხმარებლო ფასების ინდექსის - ინფლაციის უზოგადესი მაჩვენებლის ყოველთვიურად გაანგარიშება [2]. „საქსტატი“ ინფლაციის მონიტორინგს ექვს ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი, ზუგდიდი), ვაჭრობის და მომსახურების 1700 ობიექტზე, ყოველთვიური დაკვირვებით ახდენს. მონიტორინგის შედეგია „სამომხმარებლო კალათა“, საიდანაც ინფლაციის მთავარი მაჩვენებელი - სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) იანგარიშება. „კალათა“ შესაბამისი ხვედრითი წონების მიხედვით აერთიანებს 305 დასახელების სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას [3]. „საქსტატისგან“ განსხვავებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო 2020 წლის მარტის ბოლოდან ყოველდღიურად აკვირდება სურსათის ფასებს და მონაცემებს ასევე ყოველდღიურად აგზავნის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. ზემოაღნიშნული „კალათა“ ქვეყნების მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს, გამომდინარე ცალკეულ პროდუქტებზე მოსახლეობის პრიორიტეტებიდან. საქართველოში „კალათის“ 12 ჯგუფს შორისაა: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (30,1%), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო(6,4%), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

(3,4%), საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (8,4%), ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება (6,6%), ჯანმრთელობის დაცვა (8,4%), ტრანსპორტი (13,1%), კავშირგაბმულობა (3,7%), დასვენება, გართობა და კულტურა (6,4%), განათლება (4,7%), სასტუმროები, კაფეები/რესტორნები (4,1%), სხვა საქონელი/მომსახურება (4,9%) [3: p. 2].

„საქსტატის“ თანახმად, „სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების“ ჯგუფში 92 პროდუქტი შედის, რომლებიც ძირითადად შეესაბამება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური სამსახურების მიერ ყოველდღიური მონიტორინგით განხილულ პროდუქტების ჩამონათვალს. თუმცა, მათ შორის ერთი განსხვავებაა - „საქსტატის“ მიერ ინფორმაციის მოპოვება ყოველთვიურად 6 დიდ ქალაქში ხდება, მაშინ როცა სამინისტროს მიერ მოპოვებული ფასები ყველა რაიონის ქალაქებისა და სოფლების სავაჭრო ობიექტებიდან (მათ შორის ე.წ. ქსელურებიდან - „ზღაპარი“, „ნიკორა“, „მაგნიტი“, „ორი ნაბიჯი“ და ა.შ.) მოპოვებულ ამომწურავ ინფორმაციას შეიცავს. ეს ინფორმაცია ყოველდღიური, და აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო ოპერატიულია, ვიდრე „საქსტატის“ ყოველთვიური (თვის 10-დან 20 რიცხვამდე) მონაცემები [4]. და რაც ყველაზე მთავარია, ეს მონაცემები მხოლოდ სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე ფასების ზრდას, ანუ **აგფლაციას** ასახავს, და სხვა სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდა მის სიდიდეზე ნაკლებად მოქმედებს.

ზემოაღნიშნული უპირატესობების გამო, თანამედროვე პირობებში, ზოგიერთი ქვეყნის სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში ფართოდ გავრცელდა აგრარული ინფლაციის (ანუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების საშუალო დონის ზრდა), - **აგფლაციის** (Agflation) მაჩვენებელი. ტერმინი „აგფლაცია“ 2006-2007 წლებიდან შემოვიდა მარცვლეულ კულტურებზე, ხილზე, კვერცხზე და ზოგადად ადამიანთა საკვებზე (გარდა ალკოჰოლისა) ფასების ზრდასთან დაკავშირებით [5]. აგფლაცია (აგრარული ინფლაცია) - სასურსათო და ტექნიკური კულტურების ფასების წინმსწრები ზრდაა სამომხმარებლო ფასების საერთო ზრდასთან შედარებით. ამ მაჩვენებელს ხშირად იყენებენ შედარებით ღარიბ ქვეყნებში, სადაც გარკვეულ პერიოდებში ადგილი აქვს სურსათის გაძვირებას (მაგალითად, ინდოეთში) [6]. ჩინეთში 2007 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსის ათწლეულის რეკორდული - 4.8%-იანი ზრდა უმთავრესად სურსათის 12.3%-ით გაძვირების შედეგი იყო [7].

აგფლაციისადმი ინტერესი, როგორც წესი, იზრდება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების დროს - ის პროდუქტებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდის, ან მიწოდების შემცირების და ამით გამოწვეული ფასების ზრდის შედეგია. **სწორედ ასეთი მოვლენაა „კოვიდ19“ პანდემია, რომელიც საზღვრების ჩაკეტვის, ბიზნესების შეჩერების, უმუშევრობის და ა.შ. შედეგად მიწოდების შემცირებას და ამით ფასების ზრდას იწვევს.** თანამედროვე პანდემიის გამო გამწვავებული სასურსათო საფრთხეების პირობებში ისევ აქტუალურად ჟღერს ცნობილი ბრიტანელი ეკონომისტის, თომას მალთუსის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ ვინაიდან საკვების მოთხოვნილება ადამიანისათვის უმთავრესია, მშვიერი ამბოხი კვლავ რჩება სოციალური პროტესტის ერთ-ერთი უძველეს, დღემდე შემორჩენილ ფორმად. თანაც, ამ სახის პროტესტი „...უნივერსალური ხასიათისაა, ვინაიდან მსოფლიო რუკაზე პრაქტიკულად არაა ადგილი, რომელსაც არ შეხებია სასურსათო კრიზისები და მშვიერი ამბოხებები“ [8].

საქართველოსთვის სურსათის, ამ არაელასტიური საქონლის, გაძვირება მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით მგრძნობიარეა, რაც რამდენიმე ობიექტური მიზეზითაა გამოწვეული:

- მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლების ფასების შემცირება/გაზრდა, ქართული ენერგობაზრის ოლიგოპოლიური ბუნების გამო, ნაკლებად აისახება საწვავის საცალო ფასებზე, რაც სურსათის ფასებს მაღალ დონეზე ტოვებს;

- საქართველოს სამრეწველო მომხმარებლებისათვის 2020 წლის დეკემბერის დასაწყისში ბუნებრივი აირის გაძვირება, აზოტოვან და კალიუმიან სასუქებზე ფასებს სავარაუდოდ გაადიდებს;

- მსოფლიოს ლითონების ბაზრებზე ფასების ზრდა აძვირებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას;

- ბოლო წლებში, სწრაფად განვითარებადი აზიის ქვეყნები მრავალმილიარდიათი მოსახლეობით, ბრინჯიდან გადავიდნენ ცილებით მდიდარ, ძვირ ხორცეულზე და რძის პროდუქტებზე, რომელთა წარმოება 5-ჯერ მეტ ფართობებს მოითხოვს, ვიდრე მემცენარეობა [9];

- კლიმატის გლობალური ცვლილება, ნიადაგის ეროზიასთან და მიწების არარაციონალურ გამოყენებასთან ერთად, იწვევს სახნავ-სათესი ფართობების შემცირებას, რაც პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და პროდუქტების წარმოების ტემპის ჩამორჩენის პირობებში, ამწვავებს სურსათის მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს;

- „კოვიდ19“-ის პანდემიის პირობებში ფასების ზრდის გამო, ბევრი ექსპორტიორი ქვეყანა თავის შიდა ბაზრებს სურსათის გაძვირებით იცავს და აწესებს ექსპორტის კვოტებს, ან საერთოდ ზღუდავს ექსპორტს, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სურსათის ფასებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალური მასშტაბით „კოვიდ19“ ვირუსის გავრცელების დროს აგფლაციის მაჩვენებლის გაზომვა ძალზე მნიშვნელოვანია განვითარებად, განსაკუთრებით კი, ღარიბ ქვეყნებში, რომლებისთვისაც პანდემიის პირობებში დამახასიათებელია კვების ძირითადი პროდუქტების გაძვირება.

ქართველი ეკონომისტების არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ აგფლაციის მაჩვენებელი უფრო მაღალი იმ ღარიბ, საქართველოს მსგავს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშია, სადაც სასურსათო პროდუქცია მთლიანი სამომხმარებლო კალათის თითქმის ნახევარია [10]. კერძოდ:

საქართველოში - კალათის 31% სურსათია [11],

ყაზახეთში - 60% [12],

რუსეთში - 50% [13],

აზერბაიჯანში - 50%,

სომხეთში - 50%,

თურქმენეთში - 60%,

ტაჯიკეთში - 57% [14],

აგრარული კუთხით განვითარებულ სახელმწიფოებში საპირისპირო სურათია - სასურსათო პროდუქცია სამომხმარებლო კალათის მეხუთედიც არ არის. აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და პროფესორ ვახტანგ ჭარაიას მონაცემებით, მაგალითად ეს თანაფარდობა შეადგენს:

აშშ-ში - 15% [15],

ევროზონის ქვეყნებში - 18% [16],

თურქეთში - 24% [17].

Given Georgia's position in the Global Competitiveness Index, it is clear that education and qualifications are the weakest points. Lack of education and qualifications hinder the development of other areas that constantly require highly qualified staff and innovation.

In the modern economy, innovation is seen as a driving force for competitiveness, as innovation reduces product costs and prices, creates a new wave of demand in the market, attracts foreign currency, has a positive effect on the image of companies due to the new product.

Noteworthy is the fact that innovation is primarily associated with high risk. That is why it is necessary for companies to focus on innovation-based national production. The innovative system should be in line with the socio-economic factors existing in the country.

Companies created with foreign investment are serious players in the market, and for the most part they are distinguished by high production activity. Also noteworthy is the share of Georgian-foreign companies in total exports, which account for half of the total exports, indicating that Georgian exports are largely at the expense of foreign investment.

Whether the difference in the quality of technology between local and foreign companies is high, local companies are slowly losing their share of the domestic market due to the significantly lower quality of their products, and foreign companies are taking the vacant place. In this way, foreign direct investment increases domestic competition. However, this effect is positive for the host country if the technological difference between domestic and foreign companies is very high and the competition pushes both participants to lower prices and raise quality.

Local firms can improve their manufacturing methods by observing the technologies of multinational corporations, and local firms created by competing foreign direct investment are also pushing local firms to improve their processes and technologies.

Therefore, the inflow of foreign direct investment leads to the development of local industries, and may develop so strongly that it will reduce the ratio of multinational organizations and the absolute position in the industry.

Also worth considering is the type of investment, namely multinational corporations that enter countries and only aim to take advantage of cheap labor and their plans do not include technology transfer or retraining of employees, are less profitable for host countries.

Direct foreign investment can bring new products to market, new processes and practices that can boost the host country's supply of ideas, which in turn contributes to innovation. Multinational companies can help improve the productivity of local firms. Despite the additional competition caused by the influence of new firms into the market due to foreign direct investment, which can hurt local industries, competition in one sector can be beneficial to other sectors. Local firms in turn assist multinational firms in purchasing raw materials and intermediate goods that can use higher quality and lower priced intermediate goods in their own manufacturing process.

Also worth considering is the type of investment, namely multinational corporations that enter countries and only aim to take advantage of cheap labor and their plans do not include technology transfer or retraining of employees, less profitable for host countries.

Despite the global challenges, Georgia is trying to become a regional investment hub in the Caucasus. The Ministry of Economy and Sustainable Development has developed a strategy and action plan for attracting investment in 2020-2021. The strategy is focused on increasing

the inflow of foreign direct investment. The volume of investments in Georgia from year to year depends more on the start and end dates of various large-scale projects.

Over the last seven years, the average level of foreign direct investment has increased by 35% compared to the same period last year; Compared to other countries in the region, the share of FDI in GDP is 3 times higher in Georgia; The volume of reinvestment has also increased. The share of reinvestment in foreign direct investment ranges from 34.1% to 62%, which shows the confidence of foreign investors in the country.

The strategy for attracting investment in 2020-2021 has been prepared according to the IFC methodology and international specialists have also participated in its preparation. The strategy states that Georgia is ready to invest in more high-tech, knowledge-based and scientific-research activities.

Conclusion

Countries aimed at increasing competitiveness or productivity should make efforts to improve the various dimensions of structural change and at the same time allocating resources to attract the FDI. In the case of Georgia, it is better to focus on improving the education system of countries so that there are more workers with higher education in the market. At the same time, more resources should be allocated for research and development, which can improve the technological readiness and progress of countries.

Finances should be allocated to improve the qualifications of experienced and skilled personnel, it can be vocational education, trainings, seminars, etc. Government efforts should be directed towards the creation of a continuous education system.

It's obvious that investors will always avoid investing in high-risk ventures. That is why the country needs to develop certain types of incentive programs, which will be a kind of prevention in case of business failure. Otherwise it is hard to find an investor who will invest in a risky project, especially in a startup.

In terms of investment promotion, the government should try to increase the size of the market - through fiscal levers it should ensure the initiation of new businesses and productions in the country, and for this it should eliminate the problem of access to capital.

References:

1. *Investment Attraction Strategy and Action Plan 2020-2021, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, “Produce in Georgia”*www.investingeorgia.org
2. Kavtaradze M., *Georgia's position in the Global Competitiveness Index 2018- Analysis and Recommendations. Association of Young Financiers and Businessmen – AFBA.*
3. Tonkova E, Petrov D., Hristova S., *Investment in high technologies and its role for enhancing the competitiveness of the national economy, New Challenges of Economic and business development 2019, Riga, University of Latvia.*
4. Schwab K, *World Economic Forum, The Global Competitiveness Report 2019, www.weforum.org/gcr*
5. Stankov B., Damjanović J. Roganović M., *Pillars of competitiveness as fdi determinants in host countries: A review of the panel data empirical studies, school of business 2/2018, 98-116.*

ანი კალანდია

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Kalandia

**ინვესტიციების როლი გლობალურ ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის
ამაღლებაში
ვრცელი რეზიუმე**

ანოტაცია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც იმ ინსტიტუტების, პოლიტიკისა და სხვა ფაქტორთა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის პროდუქტიულობის მაჩვენებელს. პროდუქტიულობა კი, თავის მხრივ, ეკონომიკაში დაბანდებული ინვესტიციებიდან მიღებულ მოგების დონეს განაპირობებს. ამდენად, კონკურენტუნარიანად ის ეკონომიკა მიიჩნევა, რომელიც დროთა განმავლობაში სწრაფად იზრდება. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, საქართველოს მიერ დაკავებული პოზიციებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ სახელმწიფოში ყველაზე სუსტი რგოლია განათლება და კვალიფიკაცია. განათლებისა და კვალიფიკაციის დეფიციტი სხვა სფეროების განვითარებას აფერხებს, რომლებიც გამუდმებით საჭიროებენ მაღალკვალიფიციურ კადრებსა და ინოვაციებს.

საკვანძო სიტყვები: გლობალური კონკურენტუნარიანობა, ინოვაციები, ინვესტიციები.

მსოფლიოში არსებული გლობალური გამოწვევების მიუხედავად, საქართველო ცდილობს კავკასიის რეგიონალურ საინვესტიციო ჰაზად ჩამოყალიბდეს. ამისათვის მთავრობა ისეთ სტრატეგიებს იმუშავებს, რომელიც ბუნებრივად ორიენტირებული იქნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის ზრდაზე. საქართველოში წლიდან წლამდე ინვესტიციების მოცულობა უფრო მეტად არის დამოკიდებული სხვადასხვა მსხვილმაშტაბიანი პროექტების დაწყება-დასრულების ვადებზე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს გარემო. აღნიშნული ანგარიში ორ მთავარ მიზანს ემსახურება- დაეხმაროს მთავრობებს, ადვილად გამოავლინოს ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორები, ხოლო ბიზნეს სექტორს იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც მომავალ ინვესტირებას ეხება.

ინდიკატორების გათვალისწინებით, ყველაზე პრობლემურია შემდეგი საკითხები: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, მცირე ფინანსები, რომელსაც კომპანია ხარჯავს კვლევისა და განვითარებაში, უნივერსიტეტების მზაობა, გადაამზადოს მკლევარები და მეცნიერები, მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობა კვლევისა და განვითარებაში.

თანამედროვე ეკონომიკაში ინოვაციები მიჩნეულია კონკურენტუნარიანობის ზრდის მამოძრავებელ ფაქტორად, რადგან ისინი იწვევენ პროდუქტის თვითღირებულებისა და ფასის შემცირებას, ბაზარზე ჩნდება მოთხოვნათა ახალი ტალღა,

ხდება უცხოური ვალუტის მოზიდვა, დადებითად მოქმედებს კომპანიების იმიჯზე ახალი პროდუქტის მწარმოებლის სტატუსის გამო, ეხმარება კომპანიებს ადვილად შეაღწიოს შიდა და რეგიონული ბაზრებზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინოვაცია, უპირველეს ყოვლისა, მაღალ რისკთანაა დაკავშირებული. ამიტომაც აუცილებელია, რომ კომპანიებმა აქცენტი გააკეთონ ინოვაციებზე დაფუძნებულ ეროვნულ წარმოებაზე. ინოვაციური სისტემა უნდა ესადაგებოდეს ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხრივ, საქართველოს ყველაზე რთული გამოწვევა არის ინსტიტუტების გაძლიერება, განათლების დონის გაუმჯობესება და შრომის ბაზრის ეფექტიანობის გაზრდა.

დასკვნა

სახელმწიფოები, რომლებიც მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანობას ან პროდუქტიულობის გაზრდას, ძალისხმევა უნდა მიმართონ სტრუქტურული ცვლილებების სხვადასხვა განზომილებების გაუმჯობესებაზე. საქართველოს შემთხვევაში, უმჯობესია კონცენტრაცია მოხდეს ქვეყნის განათლების სისტემის გაუმჯობესებაზე, რათა ბაზარზე არსებობდეს უფრო მეტი უმაღლესი განათლების მქონე მუშახელი. ამასთან, მეტი რესურსი უნდა გამოიყოს კვლევისა და განვითარებისთვის, რამაც შეიძლება გააუმჯობესოს ქვეყნების ტექნოლოგიური მზადყოფნა და წინსვლა.

ბუნებრივია, ინვესტორები ყოველთვის გაურბიან მაღალი რისკის მქონე წამოწყებებში თანხების დაბანდებას. ამიტომაც არის საჭირო სახელმწიფომ გარკვეული ტიპის მასტიმულირებელი პროგრამები შეიმუშაოს, რომელიც ერთგვარი პრევენცია იქნება ბიზნესის წარუმატებლობისა. სხვაგვარად რთულია ისეთი ინვესტორის მოძიება, რომელიც სარისკო პროექტში, განსაკუთრებით სტარტაპში მოახდენს ინვესტირებას.

ინვესტიციების ხელშეწყობის კუთხით, ხელისუფლება უნდა შეეცადოს ბაზრის მოცულობის გაზრდას - ფისკალური ბერკეტების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ახალი ბიზნესებისა და წარმოებების ინიცირება, ამისათვის კი კაპიტალზე ხელმისაწვდომობის პრობლემის აღმოფხვრაა საჭირო. აგრეთვე, ძირეული რეფორმებია განსახორციელებელი განათლების სისტემაში, რადგან არაკვალიფიციური სამუშაო ძალა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

გიორგი სანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Sanadze

**„მაღალტექნოლოგიური ადამიანი“, როგორც ინოვაციური ეკონომიკის
უნივერსალური ადამიანისეული ფაქტორი**

რეზიუმე. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, უდიდესი დატვირთვა აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრივ ეკონომიკა სოციალურ (საზოგადოებრივ) წიაღში წარმოქმნილი მოცემულობაა, ხოლო სოციალური, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების გარკვეულ სტრუქტურაზე დაფუძნებული ერთობლიობა, შეგვიძლია მარტივად ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკის განხორციელების აქტორი მხოლოდ ადამიანია. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის, მით უმეტეს, მისი ინოვაციური თვალსაზრისით განვითარება, წარმოდგენილია გარკვეული ადამიანისეული ფაქტორების (იგივე – თეორიული კონსტრუქტები) გარეშე.

საკვანძო სიტყვები: მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციური პროდუქტი, ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციური ადამიანი, მაღალტექნოლოგიური ადამიანი.

შესავალი

XXI საუკუნეში, სულ უფრო სწრაფად იზრდება მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილ ინოვაციურ პროდუქტსა და მომსახურებაზე საზოგადოების მოთხოვნა. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებამდე ეკონომისტთა წრეებში ინოვაციასთან დაკავშირებული საკითხები შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლებიდან ვითარება რადიკალურად იცვლება. ამის უწინარეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ინტერნეტის მასობრივი გავრცელება და განვითარება (Lemanowicz, 2015, pp. 62-64).

ინოვაციური ეკონომიკა არის თეორიული მიდგომა, რომელიც ეკონომიკის ტრადიციული მოდელისგან განსხვავებით, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, პროდუქციის ან/და მომსახურების შესაქმნელად, ძირითად ყურადღებას მაღალტექნოლოგიური საშუალებებისა და ცოდნის აქტიურ გამოყენებაზე ამახვილებს (Lemanowicz, 2015, p. 61). ამრიგად, წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება ის მნიშვნელოვანი ადამიანისეული ფაქტორები, რომლებიც აუცილებლობას წარმოადგენენ ინოვაციური ეკონომიკის რეალიზაციისთვის.

**ეკონომიკაში დღემდე არსებული ადამიანისეული ფაქტორების
მოკლე მიმოხილვა**

ეკონომიკაში ადამიანისეული ფაქტორების მნიშვნელობაზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ადამ სმიტის მიერ შემოღებული ცნება,

რომელსაც Homo Economicus-ის ("ეკონომიკური ადამიანი") სახელით მოიხსენებენ. და მაინც, რას წარმოადგენს Homo Economicus-ი? საყოველთაოდ მიღებული განმარტებით, აღნიშნული ცნების ქვეშ მოიაზრება ის ადამიანისეული თეორიული კონსტრუქტი (სხვა სიტყვებით, მოდელი), რომლის მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის ან/და მოგების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც ამას ადამ სმიტი გარკვევით მიუთითებს, აუცილებელია როგორც საკუთრივ წარმოების გაფართოება, ასევე შესაბამისი კაპიტალდაბანდება (Heilbroner, Milberg, 2012, p. 48). ამრიგად, Homo Economicus-ის თეორიული კონსტრუქტი არის ნებისმიერი სახის ეკონომიკურ მოგებასა და სარგებლიანობაზე ორიენტირებული მოდელი. ცალკე აღნიშვნას მოითხოვს ფრენკ ნაითის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, Homo Economicus-ის თეორიული კონსტრუქტი გულისხმობს ფაქტორთა ისეთ ჯგუფებს და კატეგორიებს, რომელთაც დაკავშირებულია როგორც ადამიანისეულ მიზნებთან, აგრეთვე შესაბამის ცოდნასთან, რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს დასახული მიზნების მიღწევა. აქედან გამომდინარე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეკონომიკური საქმიანობის რეალიზაცია Homo Economicus-ის პირდაპირ პრეროგატივას წარმოადგენს (Knight, 1947, p. 84).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებისა, რიგი მეცნიერები (მაგალითად: Drucker, 2009) გარკვეულწილად აკრიტიკებენ Homo Economicus-ის თეორიულ კონსტრუქტს. კერძოდ, პიტერ დრუკერის აზრით, „ეკონომიკური ადამიანის“ თეორია უკვე დიდი ხანია არ შეესაბამება არსებულ რეალობას. დრუკერი ფიქრობს, რომ რთულია, „ეკონომიკურ ადამიანად“ მივიჩნიოთ ის მუშახელი, რომელიც მზად არის, მცირე ანაზღაურების საფასურად შეასრულოს კოლოსალური მოცულობის სამუშაო. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს შემოსავლების დისბალანსს. აქედან გამომდინარე, დრუკერის შეფასებით, შემოსავლების არათანაბარი განაწილება წარმოადგენს საზოგადოებაში პოტენციური საპროტესტო ტალღის წინაპირობას. დრუკერი ამის საფუძველზე ფიქრობს, რომ „ეკონომიკური ადამიანის“ მზე დიდი ხანია, ჩაესვენა და ის მეტწილად უფრო პოლიტიკური ბატალიების იარაღად იქცა (Drucker, 2009, p. 38).

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე საზოგადოებაში დიდია ინტერესი ინოვაციური საქმიანობების მიმართ. სწორედ ამიტომ ასეთ გარემოებებში ავანსცენაზე გამოდის ინოვაციური ეკონომიკისთვის შესაბამისი თეორიული კონსტრუქტი, ე.წ. „ჰომო ინოვატიკუსი“ (Homo Innovaticus), ანუ იგივე „ინოვაციური ადამიანი“. მიიჩნევა, რომ სწორედ ამ კონსტრუქტის ფარგლებში უნდა მოხდეს სხვადასხვა ინოვაციური იდეის განხორციელება (Другова, 2013, с. 58). სხვადასხვა ავტორთან „ჰომო ინოვატიკუსის“ ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს მისი სინონიმი ტერმინი „ჰომო ინოვატუსი“ (Homo innovatus) (მაგალითად, Shelton, 2018). ნიშანდობლივია, რომ "ინოვაციური საქმიანობის შემოქმედი – Homo Innovaticus-ი მომავალზეა ორიენტირებული და აქედან გამომდინარე, მისი უკეთ წარმოჩენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენად კარგად არის საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ოპტიმიზმის მიღწევის საფუძველი" (Балацкий, 2010).

საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს უზრუნველყოფა პოლიტიკური, სამართლებრივი და, რაც მთავარია, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემთხვევაშია შესაძლებელი. არასტაბილურობის განცდა კი, თავის

მხრივ, მომავალთან დაკავშირებული რისკების ზრდას უწყობს ხელს (Papava, 2019, pp. 135-138; პაპავა, 2020, გვ. 14).

პიტერ დრუკერის მოსაზრებით, საზოგადოებას ახასიათებს რიგი მერკანტილური თვისებების, რომლებიც უფრო ინდუსტრიალიზაციის პროდუქციის მოხმარებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, დრუკერი „ინდუსტრიული ადამიანის“ თეორიულ კონსტრუქტზე ამახვილებს ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ ამ კონსტრუქტში ადამიანების როლი მკაფიოდ არის განსაზღვრული. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ინდუსტრიალიზაციის ყველა აქტორი ზედმიწევნით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად, საწარმოს მმართველი აყალიბებს საწარმოს განვითარების გეგმას, ბანკირი გასცემს სესხს წარმოების გაფართოებაზე, დაქირავებული მუშახელი ცდილობს, ხარისხიანად შეასრულოს თავისი სამუშაო, რათა შემდგომში შესაბამისი გასამრჯელო მიიღოს. ყველა აღნიშნული ქმედების საბოლოო მიზანს კი საზოგადოებაში არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. დრუკერის აზრით, საზოგადოებას ახასიათებს მერკანტილურობა, ხოლო მერკანტილური საზოგადოებისთვის კი ეკონომიკური საქმიანობის განვითარება თავისებური სოციალური პრესტიჟის მატარებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო ხარისხიანად ხდება საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მით უფრო ძლიერია ეს საზოგადოება (Druker, 1995, pp. 48-50).

გერმანელი მეცნიერის, რ. ბლუმის განმარტებით, სოციალური მეცნიერების სხვადასხვა სფეროს (მაგალითად: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია, კულტუროლოგია და ა.შ.) აქვს თავისი შესაბამისი ადამიანისეული თეორიული კონსტრუქტი – Homo Logicus-ი. აქედან გამომდინარე, ავანსცენაზე გამოდიან ისეთი თეორიული კონსტრუქტები, როგორებიც არის „სოციოლოგიური ადამიანი“, „ფსიქოლოგიური ადამიანი“, „პოლიტოლოგიური ადამიანი“ და ა.შ. (Blum, 1991, s. 111; Автономов, 1998, с.9).

დავუბრუნდეთ „ჰომო ინოვაციკუსის“ ცნებას. ცნობილი მეცნიერის, იოზეფ შუმპეტერის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნოვატორული ქმედებები (Clemence, ed., 2009, p. 234). სწორედ ამ უკანასკნელის განმახორციელებელ ფაქტორად მოიაზრება „ჰომო ინოვაციკუსი“. იმისათვის, რომ თავის მიზანს მიაღწიოს, „ჰომო ინოვაციკუსს“ გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლები ესაჭიროება. კერძოდ, ეს მახასიათებლებია (Друкова, 2013, с. 58):

- ახალი იდეების გენერირებისა და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- სწავლისთვის მუდმივი სწრაფვა;
- მობილურობა როგორც გეოგრაფიული, ასევე მენტალური თვალსაზრისით;
- გახსნილობა და რისკიანობა;
- ვიწრო სპეციალური მომზადება და ფართო სპექტრის ზოგადი ცოდნა;
- კვლევითი და საპროექტო უნარები;
- სტრატეგიული აზროვნება და ტაქტიკური მოქმედება;
- ნდობა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- კოოპერაციული სახის თანამშრომლობა.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი ერთ კონკრეტულ ადამიანს ჰქონდეს. ეს უფრო კრებხითი მახასიათებ-

ლებია, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის კუთვნილება იყოს (Другова, 2013, с. 58). „ჰომო ინოვატიკუსი“ თავისი ბუნებით მომავალზე ორიენტირებული კონსტრუქტია, ხოლო მომავალი სხვა არაფერია, თუ არა ის „ტერიტორია, რომელიც ექვემდებარება დაპყრობას და კოლონიზაციას“ (Giddens, 2011, p. 22). ამრიგად, იმისათვის, რომ უკეთ განხორციელდეს ინოვაციური საქმიანობა, რიგი მეცნიერები, (მაგალითად, Shelton, 2018), ამის აუცილებელ წინაპირობად „ჰომო საპიენსის“ „ჰომო ინოვატიკუსად“ ტრანსფორმირების პროცესის ხელშეწყობას განიხილავენ. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეპოქაში აქცენტი კეთდება მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შექმნასა და გამოყენების უნარებზე (Lemanowicz, 2015, p. 61).

„მაღალტექნოლოგიური ადამიანის“ არსის შესახებ

ამრიგად, „ჰომო ინოვატიკუსისთვის“ დამახასიათებელი სპეციფიკური უნარ-ჩვევები მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად, სულ უფრო და უფრო შეუსაბამო ხდება არსებულ რეალობასთან. ჩვენი მოსაზრებით, სწორედ აქედან გამომდინარე ჩნდება საჭიროება სრულიად ახალი ტიპის თეორიული კონსტრუქტისა, რომელსაც „Homo Hi Techicus“ (ანუ სხვა სიტყვებით, „მაღალტექნოლოგიური ადამიანი“) შეიძლება ვუწოდოთ.

„მაღალტექნოლოგიური ადამიანის“ თეორიულ კონსტრუქტში იგულისხმება ისეთი ტექნიკური უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია როგორც თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფების შესაქმნელად, ასევე მათ გამოსაყენებლად. შესაბამისად, ინოვაციურ ეკონომიკასა და მის განვითარებაზე საუბრისას, არ უნდა დაგვავიწყდეს მნიშვნელობა და როლი იმ სპეციფიკური უნარ-ჩვევებისა, რომლებიც ახასიათებს Homo Hi Techicus-ის თეორიულ კონსტრუქტს. გარდა აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ Homo Hi Techicus-ი აერთიანებს ასევე ზემოთ უკვე ნახსენები Homo Innovatus-ის საუკეთესო თვისებებს.

მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის წარმოებისთვის (აგრეთვე Homo Hi Techicus-ის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის) საჭიროა ისეთი გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდება ქვეყანაში „სამეცნიერო-კვლევითი და საძიებო-საკონსტრუქტორო სამუშაოების განმახორციელებელი პროფესიონალი კადრის მომზადებაზე“ (პაპავა, 2019, გვ. 48). მაღალტექნოლოგიური საშუალებების შექმნაზე ან გამოყენებაზე ორიენტირებული საწარმოები თავიანთ პოტენციურ დაქირავებულებს უყენებენ პირობებს, რომელთა შესრულება შეუძლებელია შესაბამისი ცოდნის გარეშე. საგულისხმოა, რომ დასაქმებულებს უკვე თავისუფლად შეუძლიათ იმუშაონ არა უშუალოდ ოფისში, არამედ სახლიდან, თუნდაც სხვა კონტინენტიდან. ოფისისგან დაშორება უარყოფითად არ აისახება მუშაობის ხარისხზე (Coyle, 2020).

ნიშანდობლივია, რომ ინოვაცია ეკონომიკაში უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება ისეთი კომპანიების მეშვეობით, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პერსონალს. როგორც წესი, ინოვაციური ეკონომიკის შექმნას განაპირობებს სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავე-

ბაზე (Research and Development)¹⁰ ორიენტირებული კომპანიები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ წამყვან სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან. აღსანიშნავია, რომ ინოვაცია ეკონომიკაში მიიღწევა არა მხოლოდ მაღალტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არამედ ის აგრეთვე გულისხმობს ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტების შექმნას და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი პროცესების შემუშავებასაც (Fagerberg, Srholec, Verspagen, 2009, pp. 4-8).

მაღალტექნოლოგიური საშუალებების შექმნა ან მათი გამოყენება, როგორც ეს უკვე ზემოთ აღინიშნა, სრულიად გასხვავებული ადამიანისეული კონსტრუქტის – Homo Hi Techicus-ის პრეროგატივას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, არსებობს მოსაზრება (მაგალითად: Daneke, 2020, pp. 18-39), რომ მომავლის ეკონომიკის სულისჩამდგმელი შესაძლოა არის სულ სხვა თეორიული კონსტრუქტი, რომელსაც Homo Complexicus-ად ან სხვანაირად - Machina-Economicus-ად მოიხსენებენ. ერთი შეხედვით, Homo Hi Techicus-სა და Homo Complexicus-ს შორის ბევრი საერთო ნიშან-თვისება უნდა არსებობდეს და უფრო მეტიც, ისინი ერთსა და იმავე მოდელს უნდა წარმოადგენდნენ, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ სიღრმისეულად გავანალიზებთ აღნიშნულ მოდელებს, დავასკვნით, რომ მათ შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. დავიწყოთ იმით, რომ დანეკს მოსაზრების თანახმად, Homo Complexicus-ი არა იმდენად ადამიანისეული ფაქტორია, არამედ ის არის ხელოვნური ინტელექტი (Artificial Intelligence), რომლის ორიენტირს წარმოადგენს არა ეკონომიკის გაძლიერება, არამედ საზოგადოებაზე კომპლექსური კონტროლის დაწესება. ამ მიზნის მისაღწევად Homo Complexicus-ი სხვადასხვა მაღალტექნოლოგიურ საშუალებებს ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, ჩემი მოსაზრებით, Homo Complexicus-ი ვერანაირად ვერ ჩაითვლება ინოვაციური ეკონომიკის ხელშემწყობ ადამიანისეულ ფაქტორად. ეს არის ის ძირითადი ნიშანი, რომელიც განასხვავებს Homo Complexicus-სა და Homo Hi Techicus-ს ერთმანეთისგან. გარდა ამისა, დანეკს მოსაზრებაზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ Homo Complexicus-ი მექანიკურ მუშაობაზე აკეთებს აქცენტს და ნაკლებად ახასიათებს მოქნილობა. რაც შეეხება Homo Hi Techicus-ს, მისი საბოლოო მიზანს საზოგადოებაში გაბატონებული მოთხოვნების დაკმაყოფილება წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური პროდუქციითა და მომსახურებით.

და მაინც, რა არის ის საბაზისო (ამასთან, სპეციფიკური) მახასიათებლები, რომლებიც უნდა ჰქონდეს Homo Hi Techicus-ს?

ჩვენი აზრით, ეს მახასიათებლები შეიძლება იყოს:

- შემოქმედებითი აზროვნების უნარი;
- პროგრამული უზრუნველყოფების ათვისების უნარი;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- მონაცემების (ციფრული, ტექსტური) დამუშავების უნარი;
- ლოგიკური აზროვნების უნარი;
- სისტემაში პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი მოგვარების უნარები;

¹⁰ ეკონომიკურ საქმიანობათა ეროვნულ კლასიფიკატორში (სეკ 006 2016), რომელიც შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს NACE Rev 2-ს, საქმიანობა Research and Development (R&D) თარგმნილია, როგორც „სამეცნიერო კვლევები და დამუშავებები“.

- სიახლეების ადვილად ათვისებისა და პროფესიული განვითარების უნარები.

ამგვარად, თანამედროვე, ინოვაციური ეკონომიკის შემოქმედად უნდა მივიჩნიოთ „მაღალტექნოლოგიური ადამიანი“. სწორედ Homo Hi Techicus-მა უნდა უზრუნველყოს საზოგადოება მაღალტექნოლოგიური დოვლათით ამ ეტაპისთვის (და მომავალშიც), რაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების საწინდარი იქნება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მაღალტექნოლოგიური პოდუქციის ან მომსახურების განვითარებას, ეს განაპირობებს როგორც ქვეყნის წარმატებასა და პრესტიჟს საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებას.

ამრიგად, ჩვენი აზრით, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, Homo Hi Techicus-ი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ამ ეტაპისთვის ყველაზე სრულყოფილი მოდელი.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება იმ ტიპის პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომელთა შესაქმნელად გამოყენებულია მაღალტექნოლოგიური საშუალებები.
- ინოვაციური ეკონომიკის წარმოქმნა წარმოდგენილია შესაბამისი გარემო-პირობების გარეშე. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საზოგადოების წევრთა მზაობასა და სურვილს, აწარმოონ და მოიხმარონ მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინოვაციური პროდუქცია და მომსახურება.
- ადამიანისეული ფაქტორები ეკონომიკაში წარმოადგენს იმ თეორიულ კონსტრუქტს, რომლის ფარგლებშიც უნდა შეიქმნას ეკონომიკური აქტივობები. ამრიგად, ინოვაციური ეკონომიკის შემოქმედად შეიძლება განვსაზღვროთ "ინოვაციური ადამიანის" თეორიული კონსტრუქტი.
- ინოვაციური ეკონომიკა სულ უფრო ეყრდნობა მაღალტექნოლოგიურ საშუალებებს. ამიტომ "ინოვაციური ადამიანის" ტექნიკური უნარ-ჩვევები აღარ არის საკმარისი. შესაბამისად, ასპარეზზე გამოდის სრულიად ახალი თეორიული დაშვება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ "მაღალტექნოლოგიური ადამიანი".
- "მაღალტექნოლოგიური ადამიანი" წარმოადგენს მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის უწინარეს შემოქმედს.
- მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროდუქციისა და მომსახურებაზე მზრდადი მოთხოვნის გამო, "მაღალტექნოლოგიური ადამიანი" შეიძლება განისაზღვროს, როგორც ამ ეტაპისთვის ყველაზე სრულყოფილი თეორიული მოდელი.

გამოყენებული ლიტერატურა

პაპავა ვ., 2019. „ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების ძირითადი მიმართულებები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“. *თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XII*. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, <<http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2019%20Srom.pdf>>.

პაპავა ვ., 2020. *ინოვაციური საქმიანობის შესახებ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში*. ექსპერტის აზრი, № 132. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, <<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/132-expert-opinion-geo.pdf>>.

Blum R., 1991. Die Zukunft des Homo Oeconomicus. In: *Das Menschenbild der Okonomischen Theorie*. Hrsg. Von B. Biervert, M. Held. Frankfurt a. M.

Giddens A. 2011. *Runaway World. How Globalisation is Reshaping Our Lives*. London, Profile Books.

Clemence V., ed., 2009. *Joseph A. Schumpeter – Essays on Entrepreneurship, Innovations, Business Cycles and the Evolution of the Capitalism*. New Brunswick, New Jersey, Transaction Publishers.

Coyle D., 2020. “Tech Titans at bay?” *Project Syndicate – The World’s Opinion Page*, July 31, <<https://www.project-syndicate.org/commentary/big-tech-congressional-antitrust-hearing-regulation-by-diane-coyle-2020-07>>.

Drucker P., 1995. *The Future of Industrial Man*. New Brunswick, USA, and London, UK, Transaction Publishers.

Drucker P., 2009. *The End of Economic Man – Origin of Totalitarianism*. New Brunswick, USA, and London, UK, Transaction Publishers.

Fagerberg J., Srholec M., Verspagen B., 2010. The role of Innovation in Development. *Review of Economics and Institutions*, Vol. 2, № 2, pp. 4-8, <<http://www.rei.unipg.it/rei/article/view/15/19>>.

Heilbroner R., Milberg W., 2012. *The Making of Economic Society*. London, Prentice-Hall International.

Knight F., 1947. *Freedom and Reform: Essays in Economics and Social Philosophy*. New York and London, Harper Bros.

Lemanowicz M., 2015. Innovation in Economic Theory and the Development of Economic Thought. *Oeconomia*, № 14, pp. 61–64.

Papava V., 2019. “On the Prospects for the Use of High Technologies in the European Union’s Post-Communist Countries.” *Bulletin of the Georgian National Academy of Science*, Vol. 13, No. 2, pp. 135-138.

Shelton R. 2018. *From Homo Sapiens to Homo Innovatus, or How to Innovate Better*. Park Innovaare, 2018, November 21, <<https://www.parkinnovaare.ch/from-homo-sapiens-to-homo-innovatus-or-how-to-innovate-better>>.

Автономов В. С., 1998. *Модель человека в экономической науке*. Санкт-Петербург, Экономическая школа.

Балацкий Е. В., 2010. Роль оптимизма в инновационном развитии экономики. *Общество и экономика*, № 1, сс. 3-20.

Друтова Е. А. 2013. Homo innovaticus: парадоксы и противоречия инновационного антропологического проекта. *Инновации*, № 8, сс. 58-63.

Giorgi Sanadze

PhD Candidate in Economics

Faculty of Economic and Business

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Sanadze

“HIGH-TECHNOLOGICAL MAN” – THE KEY HUMAN FACTOR OF INNOVATION ECONOMICS

Expanded Summary

The following article clarifies some of new circumstances in line with innovative economic development. Nowadays, economic growth is closely depended on innovative and high-tech based assets. The economy is reality, raised through entrails of society, while at the same time society is a community based on a certain structure of people. In this turn, we can easily assume humans as a supreme actor within the implementation of the economy itself.

The development of the economy, namely in innovative angles is impossible without human factors (theoretical constructs). In the XXI century, the demand on high tech-based production and services are increased gradually. Noteworthy, that innovation issues were relatively less popular in the economic field before the 1990s. Innovative economics is a theory, which focuses on the active use of high-tech tools and knowledge, in order to elaborate relevant products or services, unlike the traditional model of economics. When we are discussing the important matters of human factors in economics it is necessary to take into account the theoretical concept, which has been introduced by Adam Smith and called “HOMO ECONOMICUS” (“Economic Man”). Referring to the more popular definition, this concept implies a human theoretical construct (model), with the main purpose to obtain maximum economic benefit or profit. In order to achieve this goal, it is necessary to expand both its own production and the corresponding capital investments, by Adam Smith. The HOMO ECONOMICUS theoretical concept can be defined as a profit and benefit-oriented model. HOMO ECONOMICUS is a warehouse of suitable groups of factors and categories, in line with human goals and relevant knowledge, which might be used in order to achieve properly defined goals.

Modern society pays great attention to an innovative economy. The specific skills of HOMO INOVATICUS become more and more irrelevant to the existing reality as the demand for high-tech products increases in modern society. Therefore, HOMO ECONOMICUS is honored to organize any kind of economic activity. Some of the scientists definitely criticize the concept of HOMO ECONOMICUS. In particular, by Peter Drucker, the theory of the "economic man" has no longer be relevant to existing reality. Drucker finds some difficulties to call an "economic person" those, who fulfills colossal amount of work for a small fee. That is why Drucker thinks that the sun of the "economic man" has long since rested, and it has largely become a tool for more political battle. That's why the demand for a completely new type of theoretical concept of the human factor is needed. It can be called HOMO HI-TECHICUS (or High-tech man). The concept of "high-tech man" includes a set of technical skills that are crucial for the development of modern high-tech tools and software, as well as their usage.

Consequently, when we talk about the innovative economy and its further development, we do not forget the importance of the specific skills that characterize the concept of HOMO HI-TECHICUS. In addition to the above mentioned, in my opinion, HOMO HI-TECHICUS also incorporates the best features of already mentioned above HOMO INOVATICUS.

In order to implement a high-tech innovative economy (and to strengthen capacity building of HOMO HI-TECHICUS), it is necessary to carry out suitable preparatory measures, where the main focus will be on training of professional staff carrying out scientific-research and exploration-design works in the country. Enterprises namely focused on establishing or using high-tech facilities impose conditions on their potential employees that cannot be met without proper knowledge. It is noteworthy that employees are already free to work remotely from the office. Work outside of the office does not negatively affect the quality of the entire work at all. HOMO HI-TECHICUS is privileged to invent or use facilities based on high technological issues.

Referring to the above mentioned, HOMO HI-TECHICUS should be defined as the creator of a modern, innovative economy. This concept ensures a society with high-tech-based wealth, which can play a key role in the future in order to develop a sustainable economy in the country.

According to all of the mentioned above, if in Georgia the special attention would be paid to the development of high-tech based products or services, it will contribute to the country's success and prestige at the international level and cause significant development of our country's economy.

Thus, in my opinion, given the current situation, HOMO HI-TECHICUS can be defined as the most complete model for most of this stage. A high-tech person is the supreme creator of an innovative economy based on high technology. Therefore, due to the increasing demand for high-tech products and services, the "high-tech man" can be considered as the most complete theoretical model for this stage.

ბექა ზაუტაშვილი

ეკონომიკის მაგისტრი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Zautashvili

COVID-19-ით გამოწვეული უარყოფითი ეფექტები აგროსექტორში და თანამედროვე პლატფორმათა მნიშვნელობა პრობლემათა აღმოსაფხვრელად

ანოტაცია. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოს არაერთ რეგიონში შეინიშნება სიღარიბის დონის ზრდა და უკვე არსებული პრობლემების, მათ შორის, შიმშილის კიდევ უფრო გამწვავებაც. ამასთანავე, პანდემიის ფონზე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები არასახარბიელო გავლენას ახდენენ სხვადასხვა დარგზე, მათ შორის, აგრო-სასურსათო სექტორზე. პრობლემების აღმოსაფხვრელად და აგროსექტორის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭიროა საზოგადოების მხრიდან განვითარებაზე ორიენტირებული ნაბიჯები გადაიდგას, რაც გამოიხატება დარგში ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციის დანერგვით.

საკვანძო სიტყვები: აგროსექტორი; COVID-19; ციფრული პლატფორმები; ტექნოლოგია; ინოვაცია.

შესავალი

COVID-19-ის მასობრივი გავრცელების შედეგად უამრავ დარგში არაერთი პრობლემა წამოიჭრა. აღნიშნულმა საბოლოოდ გამოიწვია წარმოების შემცირება, კორპორაციათა შემოსავლების კლება და სხვა უარყოფითი ტენდენცია, რაც მსოფლიო GDP-ს კლებით დაგვირგვინდა. ერთ-ერთი სექტორი, სადაც პანდემიის პერიოდში გარკვეულწილად შეფერხდა გამართულად ფუნქციონირება, არის აგროსექტორი, რომლის შედეგადაც კიდევ უფრო გამწვავდება მსოფლიოს მასშტაბით შიმშილის პრობლემა.

ძირითადი ნაწილი


აგროწარმოება და სურსათის წარმოების ინდუსტრია არაერთი გამოწვევის წინაშე დგას რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ: მსოფლიოში მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, კონფლიქტები, საზოგადოების მხრიდან აგროწარმოებისთვის ვარგისი მიწების არაეფექტიანი გამოყენება, სხვადასხვა სავაჭრო თუ პოლიტიკური ბარიერები და სხვ. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს კორონავირუსით შექმნილი სიტუაცია, რომელმაც შეაფერხა მიწოდების ჯაჭვის გამართულად ფუნქციონირება სხვადასხვა შეზღუდვის გამო. აღნიშნული ფაქტები, თავის მხრივ, ხელს უშლის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების სისრულეში მოყვანას 2030 წლისთვის, ვინაიდან 17 მნიშვნელოვანი პრობლემიდან, ერთ-ერთი სწორედ შიმშილის აღმოფხვრაა.

Covid-19-ით გამოწვეული სიტუაციის ფონზე, ქვეყნები იძულებულნი გახდნენ მიეღოთ სხვადასხვა სახის დამცველობითი ზომები, რამაც, საბოლოო ჯამში, გავლენა იქონია გლობალურ ვაჭრობაზე, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრების 5%-ზე და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2020 წელს მსოფლიო GDP-ს 4,9% ვარდნა ექნება.¹¹

¹¹Hausmann R., Schetter U.; <https://voxeu.org/article/horrible-trade-offs-pandemic>; voxeu.org; (გადამოწმებულია 08/2020).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებზე დაყრდნობით, არაერთ პროდუქტზე გაიზარდა ფასები. მაგალითად, 2020 წლის თებერვლის თვესთან შედარებით, ოქტომბერში ფასები ზრდის ტენდენციით ხასიათდება ისეთ პროდუქტებზე, როგორებიცაა: ბრინჯი (9,2%), კარტოფილი (10%), ქათმის ხორცი (7,2%), პურ-ფუნთუშეული (9,2%) და სხვ. შედეგად იმატებს იმ ადამიანთა რიცხვიც, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი სრულფასოვანი საკვები რაციონის მისაღებად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პრობლემის წინაშე ძირითადად განვითარებადი და არამდგრადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები აღმოჩნდნენ. 2020 წელს, WFP-ს(World Food Programme) ინფორმაციაზე დაყრდნობით, კორონავირუსის შედეგად შიმშილის პრობლემა გამწვავდა მსოფლიოს 18 ქვეყანაში.(მაგ:ჩადის მოსახლეობის 39,3% ქრონიკული შიმშილის ზღვარზეა, ხოლო 20,7% კი არასაკმარისი რაოდენობის საკვებს მოიხმარს. მსგავსი სიტუაციაა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: კოლუმბია- 5,4% ქრონიკული შიმშილის ზღვარზე მყოფი ადამიანი, 23,1% არასაკმარისი რაოდენობის საკვების მომხმარებელი; ერაყი - 23,6% ქრონიკული შიმშილის ზღვარზე, 8% არასაკმარისი რაოდენობის საკვებს მოიხმარს და სხვ.).FAO(Food and Agriculture Organization) და WFP-ს მიხედვით, მსოფლიოში პანდემიით დამძიმებული შიმშილის პრობლემების ძირითადი გამომწვევი მიზეზებია:

- დასაქმებისა და ხელფასების შემცირება. შესაბამისად, მოსახლეობას უფრო ნაკლები ფინანსური რესურსი აქვს სურსათის შესაძენად. ამასთანავე, საზღვარგარეთ მომუშავე პერსონალს შეექმნა პრობლემები ფულად გზავნილებზე, შედეგად, დაუცველ ქვეყნებში ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა.
- სხვადასხვა ტიპის შეფერხებებმა, რომელიც უკავშირდება პანდემიის გავრცელების შემცირების ღონისძიებებს, მნიშვნელოვანი და მზარდი გავლენა შეიძლება იქონიოს სურსათის წარმოებასა და მიწოდებაზე.
- სამთავრობო შემოსავლების შემცირება - ხელისუფლების წარმომადგენლებს გაუძნელდებათ უსაფრთხოების სტანდარტების მაღალ დონეზე შენარჩუნება და მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება.
- პანდემია და ეკონომიკური ჩავარდნის ტენდენციები შესაძლოა გახდეს პოლიტიკური არასტაბილურობის/კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი, რაც იმოქმედებს აგროსექტორზეც.



ნახაზი 1: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების ძირითადი არხები

აგრარულ სექტორში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია შესაბამის რესურსებზე წვდომა. პანდემიის პერიოდში კი შეფერხდა ლოგისტიკური პროცესები და შესაბამისად, ფერმერებს შეექმნათ გარკვეული პრობლემები პესტიციდების, სასუქის, თესლებისა და სხვ. მოპოვებაში. აღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვნად იმოქმედა პროდუქციის მიწოდებაზე, პანიკის ფონზე გაზრდილმა მოთხოვნამ ბაზრებზე გამოიწვია გარკვეულწილად მიწოდების პრობლემები და ფასების ზრდა. წარმოებისთვის არა მარტო შუალედური რესურსებია მნიშვნელოვანი, არამედ ძირითადი კაპიტალის (გადამამუშავებელი ქარხნები, მანქანა-დანადგარები, სასაწყობე ტერიტორიები) გამართულად ფუნქციონირებაც, ანუ აგროსექტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კაპიტალ ინტენსიური დარგი. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კაპიტალ ინტენსიურობასთან ერთად, შრომაც ინტენსიურია. საერთაშორისო დონეზე ლოგისტიკური პროცესების შეფერხებამ მეწარმეებს შეუქმნა სხვადასხვა სახის დაბრკოლება, შედეგად კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ადამიანური კაპიტალის როლი აგროწარმოებაში, თუმცა ამან გამოიწვია მიწოდების ეფექტიანობის შემცირება და ფერმერთა შემოსავლების კლება.


პანდემიამ უდავოდ მთელი სურსათის ინდუსტრიაზე იმოქმედა და გავლენა მოახდინა აგროსექტორის ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა: პირველადი წარმოების პროდუქტებით ვაჭრობა, პროდუქციის დამუშავება, ლოგისტიკური პროცესები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, შეიცვალა სობოლო მოთხოვნის რაოდენობაც. ამან, თავის მხრივ, იმოქმედა ფაქტორულ, კერძოდ, შრომისა და კაპიტალის ბაზრებზე, რომლებიც წარმოების პროცესთან უშუალო კავშირში იმყოფებიან. მსგავსი გამოწვევების ფონზე, საჭიროა სწორი და მიზანმიმართული რეაგირება საზოგადოების მხრიდან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა სინერგიული მუშაობა, რათა შემსუბუქდეს Covid-19-ით გამოწვეული წნეხი განვითარებად სახელმწიფოებში და, ამასთანავე, აგროწარმოებაში მომუშავე პირებს მიეცეთ შეუფერხებლად მუშაობის საშუალება. ამის შესაძლებლობას კი შესაბამისი ტექნოლოგიები და ციფრული პლატფორმები იძლევა, რომელთა დახმარებითაც სექტორი პანდემიის პირობებშიც მოახერხებს ფუნქციონირებას.

კორონავირუსმა საზოგადოება იმაზე მეტად დამოკიდებული გახადა ტექნოლოგიებზე, ვიდრე ეს აქამდე იყო. ტექნიკამ და თანამედროვე პლატფორმებმა ადამიანებს საშუალება მისცა მასობრივი შეზღუდვების ფონზეც გაეგრძელებინათ საკუთარი საქმიანობა, განათლების მიღების პროცესი და სხვა სახის აქტივობები. ტექნიკური და ციფრული საშუალებების ჩართვა, რომლებიც უშუალოდ მორგებული იქნება ფერმერებზე, აგროწარმოების პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის. თუმცა, ტექნოლოგიათა გავლენის ზრდის პარალელურად არსებობს საფრთხე, რომელიც უკავშირდება მიღებული სარგებლის არათანაბარ განაწილებას, კონკრეტულად კი პლანეტის ღარიბ რეგიონებში მცხოვრები ხალხი შესაძლოა ჩამორჩეს განვითარების ტემპებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხე რეალურია, მისი თავიდან არიდება შესაძლებელია, თუ შესაბამისი ციფრული პლატფორმები და წარმოებისთვის საჭირო მოწყობილობები გამოყენებული იქნება, როგორც მასობრივი შიშშილის აღმოფხვრის საშუალება, რაც ხელს შეუწყობს აგროწარმოების, როგორც დარგის სრულფასოვან ფუნქციონირებას განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებში.

განვითარებად ქვეყნებში აგროსექტორისთვის, პირველ რიგში, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციათა ნაკადების არსებობა და მათზე წვდომის გამარტივება,

ასევე, ციფრული პლატფორმების რაოდენობის გაზრდა და ფერმერების იმ მინიმალური ტექნიკით აღჭურვა, რაც უკეთ გაარკვევს მათ, არა მარტო სამეწარმეო პროცესში, არამედ საკუთარი პროდუქციის რეალიზების ეფექტურ გზებსაც აპოვნინებს. ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა კერძო და სამთავრობო სექტორების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა.

ციფრული პლატფორმები ფერმერებისთვის სასურველი ინფორმაციის დახმარებით ხელს შეუწყობს სექტორში ფასების გამჭვირვალობას, რესურსებზე წვდომის სიმარტივეს, უკეთესი დაზღვევის არსებობას, სესხის აღების პროცესის დახვეწას, ასევე რეგენერაციული აგროსაქმიანობის წახალისებას და სხვ., ამიტომ საჭიროა არსებობდეს რაც შეიძლება მეტი ონლაინ პლატფორმა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს ინფორმაციას. მიზნის მიღწევა მხოლოდ ციფრული მონაცემთა ბაზების შექმნით შეუძლებელია, ვინაიდან ონლაინში არსებულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ტექნიკისა და ინტერნეტ სერვისის არსებობის შემთხვევაში. მაგ: რუკაზე 1 გამოსახულია 2017 წელს მოსახლეობის ინტერნეტზე წვდომის შესაძლებლობები ქვეყნების მიხედვით (უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ბოლო 3 წლის განმავლობაში). ინტერნეტთან კავშირის პრობლემა ძირითადად იმ რეგიონებშია, სადაც კორონა ვირუსის შედეგები ყველაზე მძიმედ აისახა ეკონომიკურ პროცესებზე. ინტერნეტ კავშირისა და ტექნოლოგათა ჩართულობის გაზრდა ღარიბ ქვეყნებში, გარკვეულწილად იქნება პირველი ნაბიჯი აგროსექტორის გამართულად ასამუშავებლად.



რუკა 1: საზოგადოების ინტერნეტთან წვდომის პროცენტული გადანაწილება ქვეყნების მიხედვით.

ციფრული გარდაქმნის პროცესი აგროსფეროში შეცვლის შრომის ბაზრის სტრუქტურასა და ზოგადად მუშაობის პრინციპებს. შედეგად, შეიცვლება საჭირო უნარ-ჩვევები, რაც აგრომეწარმეებს სჭირდებათ წარმატებული საქმიანობისთვის. ამიტომ, ინოვაციური პროცესის პარალელურად, აუცილებლად უნდა დაიგეგმოს ფერმერთა სწავლება, რათა არ ჩამორჩნენ სექტორში მიმდინარე ცვლილებებს. საერთაშორისო საზოგადოებისა და ორგანიზაციების (FAO IOM UNDP UNFPA UN-Habitat) აქტიური ჩართულობა იმ რეგიონების სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის, სადაც კორონავირუსით სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა გაეროს მდგრადი მიზნების სისრულეში მოყვანისთვის.

როგორც ცნობილია, აგროწარმოებას პრობლემები განვითარებულ ქვეყნებშიც შეექმნა და გართულდა წარმოების, მიწოდებისა თუ სხვა სახის პროცესები. პრობლემებთან დასაპირისპირებლად მაღალშემოსავლიან რეგიონებში შესაძლებელია დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და მიდგომები, რომლებიც გაცილებით ეფექტიანად გაუმკვლავდებიან ნეგატიურ პროცესებს. მაგ: ვერტიკალური ფერმების გაშენება, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოების მაქსიმიზების, რადგან მსგავს ფერმერულ მეურნეობებს არაერთი დადებითი ეფექტი ახლავს თან: შესაძლებელია წარმოების პროცესის შეუფერხებელი მუშაობა მთელი წლის განმავლობაში, ფერმის მოსასვლელად საჭიროა გაცილებით ნაკლები ჰიდრო რესურსები, პესტიციდების გამოყენება აუცილებლობას არ წარმოადგენს, ვერტიკალურ ფერმებს პანდემიის პირობებშიც გამართულად შეუძლიათ ფუნქციონირება, ვინაიდან წარმოებისთვის საჭიროა მცირე ადამიანური რესურსი.

„სმარტ“/ავტომატიზირებული ფერმები ერთ-ერთ საუკეთესო პერსპექტივას წარმოადგენს აგროსექტორის გამართული ფუნქციონირებისა და მსოფლიოში საკვები მარაგების უზრუნველყოფისთვის. ვინაიდან მოსავლის მოყვანისა და მისი აღების პროცესში ჩართულია ისეთი ტექნიკა, როგორებიცაა: დრონები, ავტომატიზირებული სარწყავი სისტემები და ტრაქტორები და სხვ. ეს კი, თავის მხრივ, ამარტივებს წარმოებას. მნიშვნელოვანია, ასევე, თანამედროვე სასათბურე სისტემების შექმნა და, რაც მთავარია, ხელოვნური ინტელექტის ჩართულობის გაზრდა წარმოებაში, ვინაიდან მსგავსი ტიპის ნაბიჯები დადებითად იმოქმედებს არა მარტო წარმოებაზე, არამედ მიწოდების სრულყოფის პროცესსა და შესაბამისი ლოგისტიკური არხების გამართულად ფუნქციონირებაზე.

დასკვნა

